პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

დღიური

— ლატვიის მთავრობა აცხადებს, რომ მას არა აქვს მტრული განზრახვები საბჭოთა კავშირის [illegible]

— იაპონიაში მთავრობის გადადგომას მოელიან.

— კრუპის ქარხნებში (გერმანია) [illegible]

— გაიხსნა საფრანგეთის ხის დამმუშავებელთა რევოლიუციონური პროფ. კავშირის ყრილობა.

— გაიხსნა საფრანგეთის ბავშვთა კომუნისტური ჯგუფების ყრილობა.

ოთხშაბათი, 15 აპრილი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 86 (1240)

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

როგორც საქართველოს, ისე ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე სასოფლო-სამეურნეო გადასახადი შეადგენდა ერთ უმთავრეს საკითხთაგანს.

ერთი რამ ცხადია: მთელ გლეხობას სავსებით აქვს შეგნებული, რომ მან უნდა გაიღოს გადასახადი მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს სასარგებლოდ და რომ ამ გადასახადს საბჭოთა ხელისუფლება ისევ მას, გლეხობას ახმარს. მშრომელთა ძალა-უფლების განუმტკიცებლად გლეხობა მზად არის პირნათლად მოიხადოს თავისი საგადასახადო ვალდებულება.

მაგრამ ამასთან კარგა ხანია გამორკვეულია, რომ ჩვენს სასოფლო-სამეურნეო გადასახადს თან ახლდა მრავალი ნაკლულევანებანი. ყრილობაზე გამოსულ გლეხ-დელეგატების მსჯელობის საგანს სწორედ ეს შეადგენდა. გლეხები ჩიოდნენ გადასახადის რაოდენობის სიდიდეზე, მის არა სწორ განაწილებაზე გადამხდელთა შორის, ასე რომ შეძლებულ გლეხზე ხშირად ნაკლები იყო შეწერილი, ვინემ მის მეზობელ ღარიბ მეურნეზე; არ იყო სწორი შეფარდება დასაბეგრ სახნავ ერთეულსა და პირუტყვს შორის,—უკანასკნელზე დაწესებული საგადასახადო ნორმა მაღალი იყო; გლეხობამ თავის დროზე არ იცოდა რამდენი უნდა გადაეხადა, გადასახადის შეტანის ვადებიც არ იყო წინასწარ მტკიცედ განსაზღვრული და სხ.

ჯერ კიდევ საკავშირო ცაკის მესამე სესიამ მიაქცია ყურადღება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის დეკრეტის და საგადასახადო პრაქტიკის მთელ რიგ ნაკლულევანებებს და შეიტანა შიგ საჭირო შესწორებანი, რომელთა მიზანი იყო გადასახადის საქმის გამარტივება, გლეხის საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება, სასოფლო-მეურნეობის განვითარებისთვის ხელის შეწყობა.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობის დადგენილებას სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. გადასახადის საერთო აგებულება ძველი რჩება. საგადასახადო ერთეულად ისევ არის დესეტინა სახნავ მიწისა, რომელზედაც ხდება გადაყვანა პირუტყვის და მაღალ კულტურათა, მათი შემოსავლიანობის მიხედვით.

ვინაიდან ცაკის საკავშირო სესიამ გადასახადის წინანდელი რაოდენობა მთელი კავშირისათვის—472 მილიონი მან. შეამცირა 300 მილიონ მანეთამდე, აგრეთვე ამიერ-კავკასიაში მომხდარ სტიქიურ უბედურებათა გამო,—გადასახადის საერთო რაოდენობა ჩვენს ფედერაციაში მცირდება მაქსიმალურად შესაძლებელ დონემდე, როგორც ეს ნათქვამია ყრილობის რეზოლიუციაში.

გადასახადის განაკვეთი, აგრეთვე მაღალ კულტურათა და პირუტყვის სახნავ მიწაზე გადაყვანის ნორმა თითეული რაიონისათვის გამოიანგარიშება არა მარტო მიმდინარე წლის, არამედ მთელი რიგი წლების საშუალო შემოსავლიანობის მიხედვით, ეს განაკვეთი ცხადდება გაზაფხულზე, და არა შემოდგომაზე, და უცვლელი რჩება მთელი საგადასახადო წლის განმავლობაში. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ გლეხმა ადრე იცოდეს, თუ რამდენი მოუწევს მას გადასახადი და რომ მან წინასწარ გაითვალისწინოს თავისი სამეურნეო ანგარიშები.

აგრეთვე თავის დროზე უნდა გამოცხადდეს გადასახადის შეტანის ვადები, რომელნიც შეფარდებული უნდა იყვნენ გლეხობის მიერ თავის ნაწარმოების რეალიზაციის, გასაღების დროსთან.

პირუტყვზე გადასახადის სახნავ მიწასთან შეფარდების ნორმა საკავშირო ცაკის დადგენილებით შემცირებულია ერთი მეათედით: ყრილობაც ამის მიხედვით ადგენს ეს ნორმა შეამციროს შესაძლებელ დონემდე.

მეტად საგულისხმოა, რომ ყრილობის დადგენილების მიხედვით, დასაბეგრ საგნების საარიცხვო მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ სასოფლო საბჭოებმა და გლეხობის წარმომადგენლებმა. ამისათვის არსდება სასოფლო კომისიები, რომელთაც აღრიცხვის დასრულების შემდეგ, მისი შედეგები უნდა მოახსენონ სასოფლო ყრილობებს—დაშვებულ შეცდომების გამოსასწორებლად და საჭირო შესწორებათა შესატანად.

ამ მიზნით უზრუნველყოფილი იქნება გადასახადის სწორი და სამართლიანი განაწილება და აცილებული იქნება ის უკმაყოფილება, რომელსაც დღემდე ჰქონდა ადგილი.

დადგენილებაში საყურადღებოა სხვა მუხლებიც. ყრილობამ სასურველად სცნო ღარიბ მეურნეობათათვის შეღავათების გაფართოება,—ამიერ-კავკასიის ყველა მეურნეობათა 25 პროცენტის საზღვრებში.

ყრილობამ დაადგინა გადასახადის მთელი ჯამის არა ნაკლებ ერთი მესამედისა უშუალოდ გადაეცეს წვრილ ადმინისტრატიულ ერთეულს (თემს), რაც ხელს შეუწყობს უკანასკნელის თვითმოქმედების გაშლას, მისი ეკონომიურ მოღონიერებას.

რათა გლეხობამ ადვილად შესძლოს გადასახადის გასტუმრება და თავისი მდგომარეობის გაუმჯობესება, ყრილობამ საჭიროდ სცნო გადასახადის აკრეფის დროისათვის მოეწყოს სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციების დამზადება-შეძენა, მისთვის გაღებულ უნდა იქნას აუცილებელი კრედიტები.

გლეხობა დიდ გაჭირვებას განიცდის იმის გამო, რომ ვერ ახერხებს თავის ნაწარმოების გასაღებას. აღნიშნული ზომა რამოდენიმედ მაინც გამოიყვანს მას ამ მდგომარეობიდან.

ყრილობის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მეტად დიდი ნაბიჯია წინ გლეხობის კეთილდღეობის აწევის, მისი მეურნეობის აღორძინების საქმეში.

„პატარა“ და „დიდი“ საქმეები

ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის მთელი ენერგია მიმართული იყო ელექტრო-სადგურის აგებაზე, თავის რაიონის ელექტროფიკაციაზე. საშუალებებს აგროვებდა შემოწირულების, საღამოების გამართვის და სხვა ასეთი გზით, მთავრობასაც სთხოვდა დახმარებას. მაგრამ ამ მეცადინეობიდან არაფერი გამოვიდა, საქმე, ან უკეთ, განზრახვა ჩაიფუშა.

დუშეთში დიდი ქაპან-წყვეტით ააგეს ელექტრო-სადგური, მაგრამ მისი სათანადო გამოყენება შეუძლებელი გახდა, რადგან იქ რაიმე წარმოება არ არსებობს და ელექტრონის სინათლის მომხმარებელიც ცოტა აღმოჩნდა.

მარტყოფში ააშენეს ვეებერთელა სახალხო სახლი, რომელიც ქუთაისსაც შეშურდებოდა, რო არ ვილაპარაკოთ სხვა სამაზრო ქალაქებზე. ეს სახლი, როგორც ვიცით, ამას წინად დაიწვა.

ამხ. მ. კალინინმა, რომელიც ეწვია მარტყოფს, უსაყვედურა ადგილობრივ მუშაკებს: რათ გინდოდათ ასეთი სახლი,—ჯერ გლეხობისათვის უფრო საჭირბოროტო საქმეები უნდა მოგეგვარებინათო.

დიახ, სოფლად მომუშავე ამხანაგები ხშირად გატაცებული არიან დიდი საქმეებით, ამაზე ახარჯვენ საგრძნობ საშუალებებს, დრო და შრომა. ამავე დროს კი სოფლის ყოველდღიურ საჭიროებას ხშირად ნაკლები ყურადღება ექცევა.

ეს ელექტროფიკაცია, ეს თეატრიო; ამისათვის დგება კომისიები, ახდენენ მოსახლეობის „თვითდაბეგვრას“, აწუხებენ მთავრობას, ცალკე პირებს, უგზავნიან ჯგუფებად, მაგ., თეატრის თუ კლუბის ასაშენებელ ადგილის გარშემო და სხ.

გლეხობას კი პირველ რიგში სულ სხვა რამე ესაჭიროება. იგი ხშირად თავის ბედს იწყევლის უგზოობის და უხიდობის გამო; მას დასალევი წყალი ვერ გამოუყვანია, სამეურნეო იარაღი ვერ შეუკეთებია, სკოლა ვერ მოუწყვია, კოოპერატივი ვერ დაუყენებია თავის სიმაღლეზე და კერძო ვაჭრის კლანჭებშია ჩავარდნილი, და მრავალი სხვა.

რევოლიუციის პირველ ხანებს, ბუნებრივია, ახასიათებდა ფართე შემოქმედებითი გაქანება. ადგილობრივ მუშაკებს უნდოდათ ყველაფრის ერთბაშად გაკეთება, გლეხობის ცხოვრების ერთი ხელის დაკვრით აყვანა კულტურის უმაღლეს საფეხურზე.

მაგრამ სინამდვილე ოცნებას ფრთებს აჭრის. ცხადია, რომ მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება, მათი ცხოვრების კეთილმოწყობა მხოლოდ თანდათანობით, სისტემატიური და გეგმაშეწონილი მუშაობით მოხდება.

ჩვენ ჯერ-ჯერობით არ გვაქვს საშუალებები მოსახლეობის ყველა მოთხოვნილებათა მოკლე დროში დასაკმაყოფილებლად, ამისათვის არ არის პირობები, არ გაგვაჩნია კულტურული ძალებიც.

ამიტომ აუცილებელია, სანამ მუშაობას შეუდგებოდეთ, კარგად შევისწავლოთ გლეხობის ცხოვრება, მისი გადაუდებელი საჭიროებანი და უპირველეს ყოვლისა ვეცადოთ მათ დაკმაყოფილებას.

სოფლად ბევრი რამ ისეთის გაკეთებაა საჭირო, რაც შეიძლება ვინმეს წვრილმანად და უმნიშვნელოდ მოეჩვენოს, მაგრამ რასაც საჭირბოროტო ხასიათი აქვს გლეხობისათვის. მაგ., უკვე იწყება თესვის კამპანია. შეიძლება ზოგიერთ გლეხს თოხი და ბარი არ მოეპოვებოდეს, ან მათი შესაკეთებელი სახელოსნო არ იყოს სოფლად.

ასეთ პირობებში თუ ჩვენ დავიწყებთ ლაპარაკს ტრაქტორების საჭიროებაზე, რომელთა შეძენა ჯერ-ჯერობით არ შეგვიძლია,—ეს რა თქმა უნდა, სასაცილო იქნება, ესევე ითქმის სოფლის ცხოვრების მრავალ დარგზე.

ასეთ წვრილმანებს, პატარა საქმეებს უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება. მათი გაკეთება ადვილია, ეს დღესვე შეიძლება, ამით გლეხობაც კმაყოფილი დარჩება.

ამისათვის საჭიროა ჩვენ გვქონდეს მუშაობის რეალური გეგმა, ე. ი. ისეთი გეგმა, რომლის განხორციელება არ აღემატება ჩვენს ეხლანდელ საშუალებებს და ძალღონეს, რომლის განხორციელება ეხლავე იქონიებს დადებითი გავლენას გლეხობის კეთილდღეობაზე.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ „პატარა“ და „დიდი“ საქმეების გარჩევა, გვქონდეს იმის შეგნება, თუ რა უნდა გაკეთდეს, ან რის გაკეთება შეიძლება პირველ რიგში.

ამით იმის თქმა არ გვინდა, რომ საერთოდ ხელი უნდა ავიღოთ „დიდ“ საქმეებზე, უარი ვსთქვათ, მაგალითად, ელექტროფიკაციაზე, კლუბის აშენებაზე და სხ. არა. ყველაფერი ეს საჭიროა, მაგრამ აქ მოთმენა შეიძლება. თუ აქ ცოტა დავიგვიანეთ, გლეხობა ამით არ დაიღუპება. ფართე გეგმების განსახორციელებლად საჭიროა შეიქმნას სათანადო პირობები. დღეს კი, როცა გლეხს, მაგ., პერანგი ვერ გამოუცვლია, ერთი გირვანქა ნავთი ვერ უყიდია,—„დიდი“ საქმეებით გატაცება დანაშაულობა იქნებოდა.

საბჭოთა მესამე ყრილობაზე, როგორც მთავრობის მოხსენებაში, ისე გლეხ-დეპუტატების გამოსვლებში, ხაზი გაესვა ამ გარემოებას.

ვიმეორებთ, საჭიროა ყოველდღიური „პატარა“ საქმეებისათვის მეტი ყურადღების მიქცევა და ამისათვის რეალური გეგმის გამომუშავება.

რა თქმა უნდა, ამავე დროს ჩვენ არ ვიფლობით ამ წვრილმანებში, არ ვივიწყებთ ჩვენს საბოლოო მიზნებს პირიქით, ჩვენი ყოველდღიური, „შავი“ მუშაობა ამ საბოლოო პერსპექტივების შუქით უნდა იყოს განათებული.

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობა

ამხ. ფრუნზეს მოხსენება წითელი არმიის შესახებ

ძმური სალამი!

წითელი საქართველოს დედა ქალაქის პროლეტარიატს, საქართველოს მუშათა კლასსა და მის მშრომელ გლეხობას ძმური სალამი ჩვენი კავშირის წითელი ჯარის სახელით.

მ. ფრუნზე.

14 აპრილი, ქ. თბილისი.

მეექვსე სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. შ. ელიავა

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუციის დამტკიცება

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერატ. სოციალ. რესპუბლიკის კონსტიტუციის შესახებ მოკლე მოხსენებას აკეთებს ამხ. **შავერდოვი**, რომელიც ყრილობას აცნობს ა. კ. კონსტიტუციაში (ძირითად კანონში) შეტანილ ცვლილებებს და შესწორებებს, რომელიც უკვე განიხილა და დაამტკიცა ცალკე რესპუბლიკათა საბჭოების ყრილობებმა.

მოხსენებათა მიხედვით ყრილობა იღებს შემდეგ რეზოლიუციას:

— „მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების ა. კ. საბჭოთა მესამე ყრილობამ მოისმინა რა ამხ. შავერდოვის მოხსენება **ძირითად კანონში** (კონსტიტუციაში) შეტანილ ცვლილებებზე, რომელიც მიღებულია მეორე მოწვევის ა. კ. აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის მიერ და რომელიც უნდა დაამტკიცოს ა. კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობამ, **ადგენს**:

1) დამტკიცებულ იქნეს ა. კ. ს. ფ. ს. რ. ძირითადი კანონი (კონსტიტუცია), რომელიც უკვე მიღებულია მეორე მოწვევის ა. კ. ცაკის მეორე სესიის მიერ 1924 წლის 4 სექტემბერს.

ა) კონსტიტუციის პროექტის მე-6-ე მუხლი დაიწეროს შემდეგი რედაქციით:

ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის ფარგლებში მცხოვრებ მოქალაქეებისათვის წესდება ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის მოქალაქეობა, როგორც ა. კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკის, ისე ა. კ. ფედერაციაში შემავალ ცალკე რესპუბლიკების მოქალაქეები იმავე დროს ითვლებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეებად.

ბ) მიღებულ იქნეს პროექტის მე-13 მუხლი შემდეგი სახით: ამ.-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 210 წევრს და 110 კანდიდატებს ირჩევს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა.

გ) 22 მუხლი შემდეგი რედაქციით: ა. კ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს ცენტრ. აღმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმში 23 წევრს, მათ შორის თავმჯდომარეს რესპუბლიკების რაოდენობის მიხედვით, ერთს მდივანს და 9 კანდიდატს.

2) დაევალოს ა.-კ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს გამოიმუშაოს განსაკუთრებული თავი ა.-კ. ს. ფ. ს. რ. საბიუჯეტო უფლებების შესახებ და საბოლოოდ დასამტკიცებლად წარუდგინოს მესამე მოწვევის ა.-კ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის მეორე სესიას.

რეზოლიუციების მიღება

სასოფლო-სამეურნეო ერთიანი გადასახადის და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ მომხსენებელი ამხ. ჰუსეინოვის და აგრეთვე ამხ. ჩხენკელის (მომხსენებელი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ) საბოლოო სიტყვების შემდეგ ყრილობამ დაამტკიცა სექციების მიერ გამომუშავებული რეზოლიუციები სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა და სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ.

რეზოლიუციების მიღების შემდეგ ყრილობის მეექვსე სხდომა ნაშუადღევის 2 საათზე შეწყდა.

უკანასკნელი სხდომა

თავმჯდომარეობს ამხ. მიხა ცხაკაია

სამანდატო კომისიის მოხსენება

(მომხსენებელია ამხ. მელაძე)

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობაზე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებიდან გამოცხადდა 607 დელეგატი, რომელთაგან 571-ს გადამწყვეტი ხმა აქვს, 12-ს კი სათათბირო ხმა.

საქართველოდან ყრილობას დაესწრო 266 დელეგატი, აზერბეიჯანიდან—238 და სომხეთიდან—103; სულ 607, რომელთაგან 548 მამაკაცია და 35 ქალი.

ეროვნების მიხედვით ყრილობის შემადგენლობა ასეთია: თიურქები—143 ანუ 24,6 პროც., ქართველები—189—32,1 პროც., სომხები—144—25 პროც., რუსები—60—10,4 პროც., დანარჩენ ეროვნებათა წარმომადგენლები—71.

დელეგატებიდან 149 მუშაა, 211—გლეხი და 183—მშრომელი ინტელიგენტი.

პარტიულობის მიხედვით: კომუნისტები—485 ანუ 85,4 პროც. და უპარტიოები—98 ანუ 16,4 პროც.

საჩუქარი ყრილობას

სამანდატო კომისიის მოხსენების შემდეგ აზერბეიჯანელმა მუშამ და გლეხმა ყრილობას და მომავალ მთავრობას, რომელიც არჩეული იქნება ყრილობის მიერ, აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხების სახელით მიართვეს წითელი დროშა, რასაც დარბაზი ფეხზე ადგომით და მქუხარე ტაშით შეხვდა.

ამხ. ალი-ტაგი მამედოვის სიტყვა

ამხ. ალი-ტაგი მამედოვი, რომელმაც გადასცა ყრილობის პრეზიდიუმს აზერბეიჯანელი მუშების და გლეხების საჩუქარი, ყრილობას მიმართავს მოკლე სიტყვით თათრულ ენაზე.

— ის ეხება იმ დროს, როდეს ამიერ-კავკასიაში ეროვნული შუღლი და მტრობა იყო გამეფებული და როდესაც ამიერ-კავკასიის გლეხობა საშინელ ჩაგვრას განიცდიდა წინანდელი ხელისუფლების მხრიდან.

თანახმად აზერბეიჯანის საბჭოების მე-4 ყრილობის დადგენილებისა,—ამბობს ორატორი,—მე აზერბეიჯანის მუშების და გლეხების სახელით ამ წითელ დროშას უძღვნი ჩვენს ყრილობას და მის მიერ არჩეულ მთავრობას.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ფედერაციას, რომელმაც სწორათ გადასწყვიტა ეროვნული საკითხი! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომლის დახმარებით გლეხთა მეურნეობა ფეხზე დგება! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერების ძმურ თანამშრომლობას!—ათავებს თავის სიტყვას ამხ. ალი-ტაგი მამედოვი.

დროშა ჩაიბარა ამხ. მიხა ცხაკაიამ, რომელმაც გადაკოცნა ორატორი, და მიმართა მას საპასუხო სიტყვით.

სამხედრო აღმშენებლობის შესახებ

(ამხ. ფრუნზეს მოხსენება)

ამხ. ფრუნზეს გამოჩენას ტრიბუნაზე ყრილობა ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით ხვდება. რამოდენიმე წუთის განმავლობაში მთელი დარბაზი ფეხზე დგას და „ურას“ ძახილით ესალმება წითელი არმიის ბელადს.

— ძვირფასო ამხანაგებო! სანამ მოხსენებას შევუდგებოდე, ნება მიბოძეთ შევასრულო ის დავალება, რომელიც მე დამაკისრეს აქეთ წამოსვლის დროს. საბჭოთა კავშირის მთავრობის და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მივესალმები ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობას.

სამწუხაროთ, მე მონაწილეობა არ მიმიღია თქვენი ყრილობის მუშაობაში, მაგრამ ამ ყრილობის ნამუშევარის ზერელედ გაცნობამ დამარწმუნა, რომ ამიერ-კავკასიის ცხოვრებაში დიდი გადახრა მოხდა, რომ თქვენი მხარე სწრაფად მიიწევს წინ პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზაზე. ასევე წარმატებით მიდის ჩვენი მუშაობა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა დანარჩენ კუთხეებში. ჩვენი მეურნეობა მტკიცდება, ჩვენი ძალა იზრდება, საბჭოთა კავშირი ფეხზე დგება და იწყებს იმ დიდი შენობის აგებას, რომელშიაც ყველა ერების მშრომელები ძმურათ და თავისუფლად იცხოვრებენ.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის ერების ძმურ თანამშრომლობას! გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობას (მქუხარე ტაში და „ინტერნაციონალი“).

ამხანაგებო! ჩემი მოხსენების თემაა ჩვენი კავშირის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის გაშუქება საბჭოთა კავშირის საგარეო და შინაურ მდგომარეობასთან დაკავშირებით.

შეიარაღებული ძალების სიმტკიცე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მტკიცეა სახელმწიფოს შინაური და საგარეო მდგომარეობა.

საერთაშორისო მდგომარეობა

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობას, უნდა აღვნიშნოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა. ეს არის ჩვენი მეტად დიდი დიპლომატიური გამარჯვება. წარსული წელი იყო საბჭოთა კავშირის ცნობის წელი; თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამერიკას, ჩვენი კავშირი ეხლა ცნობილია ყველა დიდი ბურჟუაზიული სახელმწიფოების მიერ. ამ სფეროში ჩვენი მიღწევები მეტათ დიდია.

საერთაშორისო მდგომარეობას ახასიათებს საკითხების ამგვარი წრე. პირველი—ეს არის ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიური ზრდა. ორი წლის წინეთ მათი მდგომარეობა მეტათ მძიმე იყო, საერთაშორისო ომმა დაშალა მათი მეურნეობა, რომლის აღდგენა მათ ვერ შესძლეს. მაგრამ უკანასკნელი დროის განმავლობაში ჩვენ ვამჩნევთ კაპიტალიზმის ერთგვარ განმტკიცებას. ამ გარემოებას ახალი ურთიერთობა შეაქვს საერთაშორისო მდგომარეობაში, მას შეუძლია რამოდენიმე ხნით შეანელოს რევოლიუციონური მოძრაობის განვითარებას ტემპი ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში.

ეხლანდელი საერთაშორისო მდგომარეობის მეორე დამახასიათებელი თვისებაა—რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა კოლონიალურ და ნახევრათ კოლონიალურ ქვეყნებში. დაჩაგრული აღმოსავლეთი იღვიძებს, ის ბრძოლას აწარმოებს კაპიტალიზმის წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში მისი ყურადღება მიპყრობილია საბჭოთა კავშირისაკენ, რომელსაც ის თავის ერთადერთ ერთგულ მეგობრათ სთვლის. ეს ართულებს მდგომარეობას და საფრთხეს უმზადებს საბჭოთა კავშირს იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრიდან.

საბჭოთა კავშირის შინაური სიმტკიცე

მესამე,—ეს არის საბჭოთა კავშირის შინაური მდგომარეობის განმტკიცება. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენ დიდ შედეგებს მივაღწიეთ პოლიტიკურ და ეკონომიურ სფეროში. ჩვენი სოფლის მეურნეობა სწრაფად იზრდება, რასაც მარტო ისიც ამტკიცებს, რომ დათესილი მიწების სივრცემ გასული წლის განმავლობაში ომის წინა ხანების სივრცის 90 პროც. მიაღწია. სოფლის მეურნეობის საერთო ზრდასთან ერთად იზრდება და უმჯობესდება სოფლის მეურნეობის ცალკე დარგებიც: ძვირფასი კულტურების მეურნეობა, მესაქონლეობა და სხვა. მათთან ერთად უმჯობესდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მდგომარეობაც.

დიდი მიღწევები გვაქვს აგრეთვე ჩვენი მრეწველობის აღორძინებისა და განვითარების სფეროში, იზრდება როგორც მსუბუქი, ისე მძიმე ინდუსტრია, განსაკუთრებით ლითონის დამმუშავებელი მრეწველობა. მძიმე ინდუსტრიის აღდგენას და განვითარებას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის საშუალებას გვაძლევს წარმოების იარაღები თვითონ ჩვენს ქვეყანაში დავამზადოთ და ამ მხრივ დამოკიდებული აღარ ვიქნებით ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან.

ამ მიღწევებს მნიშვნელობა აქვთ არა მარტო ჩვენთვის, არამედ მათ დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი მტრებიც. ისინი დარწმუნდნენ, რომ საბჭოთა კავშირი მტკიცდება, იზრდება და ეს შიშს იწვევს მათ ბანაკში. მათ დაეკარგათ იმის იმედი, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაემხობა თავისთავათ, შინაგანი რღვევის გამო, და ამიტომ შეეცდებიან ყოველის მხრივ ხელი შეუშალონ საბჭოთა კავშირის განმტკიცებას. ამაშია ერთგვარი საშიშროება ჩვენთვის.

წითელი არმიის მდგომარეობა

ამიტომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ყველა ეს გარემოებები და უნდა შევქმნათ ისეთი არმია, რომელიც მნიშვნელოვან შეიარაღებულ ძალას უნდა წარმოადგენდეს, რადგან ჩვენს წინააღმდეგ მომართულია მთელი კაპიტალისტური მსოფლიო.

ჩვენ ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი არმია, რომ იგი არ ჩამოუვარდებოდეს იმპერიალისტური სახელმწიფოების არმიებს თავისი უზრუნველყოფით და ტეხნიკის მხრივ, მაგრამ ეს დამოკიდებულია ჩვენი მეურნეობის მდგომარეობაზე და სახელმწიფოს ბიუჯეტზე.

წინეთ, სამოქალაქო ომის წლებში, წითელ არმიას ბევრი რამ აკლდა, რადგან უშუალო ბრძოლის დროს საბჭოთა ხელისუფლებას არ შეეძლო მისი მდგომარეობის სათანადოთ გაუმჯობესება. მაგრამ ეხლა, როდესაც მდგომარეობა გამოკეთდა, წითელ არმიას შეუძლია მოითხოვოს თავისი საჭიროებების დაკმაყოფილება.

სამხედრო ბიუჯეტი

ჩვენი სამხედრო უწყების ბიუჯეტი მცირეა, ის მძიმე ტვირთად არ ეწევა საბჭოთა კავშირის მშრომელებს; სამხედრო უწყების ბიუჯეტი შეადგენს სახელმწიფოს ბიუჯეტის მხოლოდ 17,18 პროც. სხვა სახელმწიფოებში კი არმიის შენახვაზე გაცილებით მეტი იხარჯება, ჩვენი არმია ყველაზე უფრო იაფი არმიაა მსოფლიოში არსებულ ყველა არმიებს შორის.

არმიის შემადგენლობა.

ჩვენი არმიის საერთო შემადგენლობა ამ ჟამად უდრის 562.000 კაცს, საზღვაო და საჰაერო ფლოტთან ერთად.

საბჭოთა კავშირში ყოველწლიურათ გასაწვევია 1.200.000 ახალგაზრდა. ამ რაოდენობიდან დაახლოვებით 400.000 კაცი გამოსადეგი არ არის სამხედრო საქმისათვის. დანარჩენი რიცხვიდან ჩვენ ჯარში გაგვყავს მხოლოდ 270.000 კაცი ყოველწლიურად, 200.000 კაცს სამხედრო საქმეს ვასწავლით ჯარის ნაწილების გარეშე, დანარჩენებისათვის კი ჩვენ გვაქვს ტერიტორიალური სისტემა.

ტერიტორიალური სისტემა.

ამ სისტემაში დიდ როლს თამაშობს წვევამდელთა მომზადება. მათ სათანადო მომზადებაზე და გაწვრთნაზე დამოკიდებული საკადრო ნაწილების გაუქმება და ტერიტორიალურ სისტემაზე გადასვლა.

ტერიტორიალურ ნაწილებში სამხედრო სამსახურის ვადა ნაკლებია, ვიდრე საკადრო ნაწილებში. აქამდი ჩვენ არ გვქონდა ჩამოყალიბებული კანონი სამხედრო სამსახურის ვადის შესახებ. ეხლა უკვე შემუშავებულია სათანადო დებულება, რომელიც დასამტკიცებლად წარდგენილია საბჭოთა კავშირის ცაკში.

იმ დებულების მიხედვით ქვეითა ჯარში სამხედრო სამსახურის ვადათ დაწესებულია 2 წელიწადი, სპეციალურ ნაწილებში (საჰაერო ფლოტი)—3 წელიწადი და საზღვაო ფლოტში, როგორც ყველაზე უფრო რთულ ნაწილში—4 წელიწადი.

ნაციონალური ნაწილები

ჩვენს სამხედრო აღმშენებლობაში დიდი ყურადღება აქვს მიქცეული ნაციონალური ნაწილების შექმნას. არსებობს ქართული, სომხური, თათრული და სხვაგვარი დივიზიები. წვრილი ერების ახალგაზრდებისაგან ჩვენ ვქმნით ნაციონალურ ასეულებს, ოცეულებს და ათეულებს.

სამხედრო ტეხნიკა

რაც შეეხება ჩვენი არმიის ტეხნიკურ მოწყობილობას, უნდა ითქვას, რომ იგი შესამჩნევად გაუმჯობესდა. გასაკუთრებით აღსანიშნავია აქ საჰაერო ფლოტის მდგომარეობა. წინედ ჩვენ ჰაეროპლანებს ვიწერდით საზღვარგარეთიდან, ეხლა ჩვენ საშუალება გვაქვს საბჭოთა კავშირში დავამზადოთ ისინი და ამ მხრივაც ჩვენ დამოუკიდებელი ვხდებით ბურჟუაზიული სახელმწიფოებისაგან.

სამხედრო ტეხნიკის გაუმჯობესების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ქიმიის განვითარებას. ამ დარგშიაც ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. ჩვენი ქიმიკოსები არაფრით არ ჩამოუვარდებიან საზღვარგარეთელ ქიმიკოსებს. ამრიგად, ჩვენი წითელი არმია ყოველის მხრივ გაუმჯობესდება და ის მომზადებული შეხვდება მომავალ ომს, თუ მას თავზე მოგვახვევენ.

მეთაურთა შემადგენლობა.

ჩვენი არმიის მეთაურთა შემადგენლობა შესამჩნევად გაუმჯობესდა. მეთაურთა შემადგენლობის 50 პროცენტი მუშათა და გლეხთა წრიდანაა გამოსული. მათი სამხედრო მომზადების საქმე სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. მიუხედავად ყველა იმ დიდი მიღწევებისა, რომლებიც ჩვენ ამ დარგში გვაქვს, ჩვენ მაინც უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენი მეთაურთა შემადგენლობა ჯერჯერობით არ სდგას იმ სიმაღლეზე, რომელზედაც სდგას იმპერიალისტური სახელმწიფოების არმიების მეთაურთა შემადგენლობა.

არმიის კულტურული როლი.

ჩვენი წითელი არმია დიდ კულტურულ როლს თამაშობს ჩვენს ქვეყანაში. მსოფლიოში არსებულ არც ერთ არმიას არ აქვს ისეთი კულტურული მნიშვნელობა, როგორც ჩვენს მუშურ-გლეხურ არმიას. ამ მხრივ ჩვენი წითელი არმია განსაკუთრებულია. ჩვენს მიზანს შეადგენს არა მარტო ის, რომ სამხედრო საქმე შევასწავლოთ ჯარში გაწვეულ ახალგაზრდა მუშებს და გლეხებს, არამედ ჩვენ ვცდილობთ ავამაღლოთ მათი კულტურული დონე.

წითელარმიელი ჯარში იძენს განათლებას. ჯარიდან განთავისუფლების შემდეგ ის უკვე ცოდნით აღჭურვილი ბრუნდება სოფლათ; იქ ის ებმება საზოგადოებრივ მუშაობაში და აქტიურ მუშაკათ ხდება საბჭოთა მუშაობის ყველა დარგებში.

არმიაში ჩვენ გვაქვს სკოლები, ბიბლიოთეკები, ლენინის კუთხეები და სხვა კულტურული დაწესებულებები. წარსულ წელში ჩვენ არმიაში სავსებით მოვსპეთ წერა-კითხვის უცოდინარობა.

დასკვნა.

ასეთია, ამხანაგებო, ჩვენი არმიის საერთო მდგომარეობა. ჩემი მოხსენებიდან თქვენ დაინახავდით, რომ, მიუხედავათ მრავალი დაბრკოლებისა, რომლებიც ჩვენ წინ გვეღობებოდენ, ჩვენ მაინც შევქმენით ძლიერი, მტკიცე დისციპლინიანი სამხედრო ძალა, რომელიც შესძლებს მუშათა და გლეხთა მონაპოვარის დაცვას. წითელი არმია მუშათა მთავრობის პირველ დაძახებისთანავე ფეხზე დადგება და უკანასკნელ სისხლის წვეთამდი იბრძოლებს საბჭოთა ხელისუფლების და საბჭოთა კავშირის საზღვრების დასაცავათ. (მქუხარე ტაში).

მთელი დარბაზი ფეხზე დგება და ხანგრძლივი ტაშით და „ურას“ ძახილით აცილებს ამხ. ფრუნზეს.

პიონერების სალამი

დაწყობილი რიგებით თეთრ-ლურჯ ტანისამოსში სცენაზე შემოდიან ნორჩი პიონერები დროშებით ხელში. ყრილობა ნორჩ პიონერებს მქუხარე ტაშისცემით ხვდება. ახალგაზრდები ყრილობას აძლევენ პიონერულ სალამს და 3 ბავშვი სიტყვით მიმართავს დელეგატებს, რომელნიც ახალგაზრდა ორატორებს მქუხარე ტაშით და ოვაციებით აჯილდოებენ. შემდეგ ყრილობას ესალმება მუსულმან ქალთა წარმომადგენელი.

სამხედრო მშენებლობა ა.-კავკასიაში

(ამხ. კორკის თანამოხსენება)

მოხსენების შესავალში ამხ. კორკი შეეხო ამიერ-კავკასიის ბუნებრივ სიმდიდრეებს და გეოგრაფიულ-სტრატეგიულ მდგომარეობას, რომელიც განსაკუთრებულ ამოცანებს აყენებს ხელისუფლების წინაშე სამხედრო მშენებლობის დარგში: ამიერ-კავკასიის მშრომელთ მართებთ მუდამ მზად იყოლიონ სამხედრო ძალები, რადგან მთელი ქვეყნის მტაცებლები თვალს არ აშორებენ უხვ ქვეყანას და ეძებენ ხელსაყრელ შემთხვევას ჩვენზე დასაცემად და გასაძარცვავად.

მთავარი რაც ყურადღებას იპყრობს ამ ჟამად—ეს არის ტერიტორიალური ნაწილების შექმნა. მიუხედავათ იმისა რომ ა.-კავკასიაში გვიან იქნა მიღებული დეკრეტი ტერიტორიალური ნაწილების შესახებ, ერთი წლის განმავლობაში მაინც მოხერხდა ა/კ ყველა რესპუბლიკებში რამოდენიმე ტერიტორიალური ერთეულების ჩამოყალიბება, თუმცა უნდა ითქვას რომ ტერიტორიალურ ნაწილების მშენებლობის მხრივ ამიერ-კავკასია ჩამორჩება საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს. რაც აიხსნება წმინდა ობიექტიური მიზეზებით (ტერნაწილების შედგენის გვიან დაწყება საჭირო მასალების უქონლობა და სხვა).

ამ ჟამად დიდი ყურადღება ექცევა ახალგაზრდობის გაწვევამდე მზადებას. აზერბეიჯანში, საქართველოსა და სომხეთში დაარსებულია რამოდენიმე სამხედრო სასწავლო პუნქტები, სადაც სწარმოებს ახალგაზრდების სამხედრო გაწვრთნა. მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს, თუმცა მის ნაყოფიერებას აბრკოლებს საჭირო ხელსაწყოების და სახელმძღვანელოების უქონლობა ეროვნულ ენებზე.

შემდეგ მომხსენებელი ყრილობას აცნობს მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმას და ამბობს, რომ საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობაში მომავალ სამოქმედო გეგმის გატარებას შესძლებს მხოლოდ პარტიულ და პროფესიონალური ორგანიზაციის დახმარებით და აგრეთვე მასსების ფართო აქტიური მონაწილეობით, რისთვისაც საჭირო იქნება წინასწარი ფართო სამხედრო აგიტაციის ჩატარება.

ამხ. ფრუნზეს პასუხი შეკითხვებზე

ერთს შეკითხვაზე, თუ როგორი არის მატერიალური მდგომარეობა ჩვენი ჯარის საკომანდო და პოლიტიკური შემადგენლობისა, ამხ. ფრუნზე უპასუხებს, რომ საკომანდო და პოლიტიკურ შემადგენლობათა ნივთიერი მდგომარეობა გასულ წლებთან შედარებით უმჯობესდება, მაგრამ მათი ხელფასი ჯერ კიდევ შორსაა იმ დონეს, როგორიც იყო მსოფლიო ომის დაწყებამდე. მომავალი ბიუჯეტის შედგენის დროს აუცილებლად მხედველობაში იქნება მიღებული ჩვენი საკომანდო და პოლიტიკური შემადგენლობის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხი.

შემდეგ ამხ. ფრუნზე პასუხს აძლევს შემკითხველებს წმინდა პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებზე (ერიოს გადადგომის მიზეზი, საერთაშორისო რევოლიუციის საკითხები და სხვა).

შემდეგ ყრილობა ამხ. **ფრუნზეს** და ამხ. **კორკის** მოხსენების მიხედვით ღებულობს რეზოლიუციას საბჭოთა კავშირის სამხედრო მშენებლობის შესახებ. რეზოლიუციას მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

ამხ. ფრუნზეს ჩამოსვლა

მატარებლის მოსვლამდე, სადგურის ბაქანზე გაიმართა საპატიო ყარაული კავკასიის წითელდროშოვან და საქართველოს არმიის ნაწილებისა. სრულ 9 ს. და 35 წ., ინტერნაციონალის ხმებით შეხვედრილი მატარებელი მოადგა ბაქანს. რამდენიმე წუთის შემდეგ ვაგონიდან გამოვიდა ამხ. ფრუნზე, რომელსაც შეხვდნენ ა. კ. ს. ფ. ს. რ., ს. ს. ს. რ. მთავრობების და ა.-კ. წით. არმ. რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს წევრები ამხ. ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, ელიავა, ნაზარეტიანი, კვანტალიანი, თბილისის გარნიზონის ნაწილების კომანდირები, კომისარები და თბილისის გარნიზონის არების წარმომადგენლები.

ამხ. ფრუნზეს ბაქოდან ჩამოჰყვა მის შესახვედრად იქ წასული ა. კ. წ. დრ. არმიის სარდალი ამხ. კორკი.

ამხ. ფრუნზემ, მიიღო რა პატაკი კავკ. წით. დრ. არმ. შტაბის უფროსის ამხ. კუზნეცოვისა, და მიესალმა რა მთავრობის წარმომადგენლებს, მიმართა დამსწრეებს შემდეგი სიტყვებით:

— მაქვს პატივი ს. ს. რ. კ. მთავრობის სახელით გადავსცე სალამი კავკასიის წითელდროშოვან არმიას. ნება მომეცით გამოვსთქვა რწმენა, რომ კავკ. წითელდრ. არმიის ჯარები ყოველთვის ფხიზლად იდგომებიან საბჭოთა რესპუბლიკების საზღვრების სადარაჯოზე. გაუმარჯოს კავკასიის არმიას! გაუმარჯოს მთელ მუშურ-გლეხურ არმიას! გაუმარჯოს ა.-კ. ს. ფ. ს. რ.-ს! გაუმარჯოს ს. ს. რ. კ.-ს!

ამხ. ფრუნზეს სიტყვა დაიფარა „ვაშა“-ს მძლავრი ძახილით.

ამხ. ფრუნზემ, ინტერნაციონალის ხმების ქვეშ, გაატარა საპატიო ყარაული, ესალმებოდა რა ცალკე ყოველ ნაწილს.

20 წუთის შემდეგ ამხ. ფრუნზე, მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად, გამოემგზავრა ქალაქის აკენ.

ამხ. ფრუნზე წითელი არმიის მდგომარეობის შესახებ

საუბარში ტერიტორიალურ ნაწილების ჩამოყალიბების საკითხის შესახებ ამხ. ფრუნზემ სთქვა:

ტერიტორიალურ ნაწილების ჩამოყალიბება ამჟამად უკვე შეიქნა ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების შეიარაღებულ ძალთა ფუძედ. მთელი ჩვენი არმიის 50 პრ. და ფეხოსანთა 70 პრ. წარმოადგენენ ტერიტორიალურ სისტემის შემქმნელს.

წითელი არმია აზერბეიჯანში.

აღნიშნა რა შემდეგ უდიდესი როლი, რომელსაც ტერიტორიალური ნაწილები თამაშობენ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში სოფლად, ფრუნზემ ხაზი გაუსვა იმას, რომ აზერბეიჯანში, სადაც სოფლის გასაბჭოება მთლად არ არის დათავებული, საქმის ამ მხარეს უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

გადასახადი ნეპმანებზე

ამხ. ფრუნზემ დაათავა რა საუბარი, სთქვა, რომ მზადდება კანონი საყოველთაო სამხედრო ბეგარის შესახებ. ეს კანონპროექტი უკვე შემუშავებულია და შეტანილი სახ. კომსაბჭოში განსახილველად. ის ელემენტები, რომლებიც არ შრომობენ, დაბეგრული იქნებიან და ჩათრეული სამეურნეო ხასიათის მუშაობაში.

ა.|კ. ცაკის წევრებისა და საკავშირო ყრილობის დელეგატთა არჩევნები

დასასრულ ყრილობა ირჩევს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის 210 წევრისა და 117 კანდიდატისაგან.

ამ.|კავკასიის ცაკის წევრები

ამატუნი, ამბარცუმიან, აზატიან, არუტიუნიან ბ., ალამალი-ოღლი, ანესოგლიან გ., ალი ინსკანდეროვ, ახმეტ-ზადა-ოღლი (უპარტიო), ალი მამედოვ-ალა-გამბარ-ოღლი (უპარტიო), ასკერ ეფენდიევი, ანუფრიევ ს., ამინცკი, ალა-ვერდიევ, ამირ-ასლანოვ, აკოპოვ სტ., ასრიბეკოვ ერ., აბზიანიძე ვ. (უპარტიო), ბოგდატიევ, ბალტინ, ბალიან გაიკას, ბუნიატ-ზადე, ბაგიროვ, ბეიუგა ალამირსალევ (უპარტიო), ბერია, ბარბაქაძე ნ. (უპარტიო) ბურჯანაძე მ., ბახტაძე ნ., ბეკუზაროვ ბალდასარიან (უპარტიო) ბურჯანაძე ვისო, ვარდინ, ველიბაკოვ, ვეზიროვ, ვაიმეროვ, ვარტაპეტიან, ვარამაშვილი, ვაშაძე, გუსეინოვ, გენკინ, გაჯინსკი, გრიგორიან გ., ღარიბან, გუმედინ გ., გრიგორიან ბაგინახ, გალუმიან ამაიან (უპარტიო), გაჯი-კასიმოვ, გორობჩენკო, გუსა-გაჯიევ, გუსეინ-ტიგუტოღლი, გამიდ სულტანოვ, გესაიტ იუსუბ-ოღლი, გუტნი, გეგეჭკორი ა., გოჩმაზიშვილი ნ. (უპარტიო), გალუსტოვ (უპარტიო), გეგენავა (უპარტიო) კვაჭაძე გ., ღვამიჩავა, გოგია, დათოიან, დჟაბიევ, დარახველიძე, ჯულელი ს., დოლიძე ა., ჯატიევ ალექ., ერზინკიან, კასიან, ერქომაიშვილი, ელენტი თ., ზარინ, ზაუტაშვილი (უპარტიო), ივანოვ, ივანიან, ისაკიან (უპარტიო), ისრაელიან (უპარტიო), იგნატიევ (უპარტიო), ივანოვ (აზერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭო), იზმაილოვ (აზ. პროფ. კ. საბჭო), ივანოვ-კავკასიელი, კაცენელსონ, კორკ, კარვლინ, კუზნეცოვ ბ., ქართარაძე გ., კუზნეცოვ ა., კოსტანიან ა., კაცენ მ., კიროვ, კარაევ, კასიმოვ, კადორლინ, კოხიუშკინ, კულიევ, კრილოვ, კარაევ ა., კარაკოზოვ არმენაკ, იაზიმოვ, კაპილოვ, კურინკოვ, ქართველიშვილი, კახიანი, ყურულოვ გ., კვანტალიანი, კუტაიძე, კანდელაკი დ., კვირიკაძე ა., ქავთარაძე, კოჩეტკოვ, ქურდაძე, ქურციკაშვილი, კანანელი, კახიძე, კასიან სარქის, ლუკაშინ, ლაზარ ატაევ (უპარტიო), ლეჟავა, ლაკობა, ლორთქიფანიძე, მგალობლიშვილი, მურავიოვ, მრავიან, მამიკონიან, მუსაბეკოვ, მირზოიან, მამედ-ხანოვ, მუხტარ-ალა-ზადე, მირ-ბაშირ-კარუმოვ, მუხტარ ფატალი, მირზა-ალი-ნაგი-მამედოვ (უპარტიო), მახარაძე ფ., მათიკაშვილი, მელაძე პ., მაშკევიჩ, მოწყობილი, მელაძე გიორგი (უპარტიო), ნაზარეტიან, ნამერზოლი, ნარჩიმაიშვილი, ნოდია მ., ნავრალაშვილი გ. (უპარტიო), ორჯონიკიძე სერგო, ორახელაშვილი მამია, ოსიპიან გაიკ, ოსიპოვ ვაგან, ომარ კოტიხლი (უპარტიო)., ოკუჯავა მიშა, ორახელაშვილი მარიამ, პოგოსიან ი., პლეშაკოვ, პოლფიან, ფირალოვი, რატნეკ, რუპულა ახუნდოვ, რუმიანცევ, ეფენდიევ (უპარტიო), ონისიან, ეფენდიევ, იაკუბოვ, სტურუა ვ., სემკოვ, სარქისიან სედრაკ, სტეპანიან (უპარტიო), სტურუა გ., საბაშვილი ტალივერდიან (უპ.), სტეპანიანი (უპ.), სერებრიოვსკი, ეფენდიევ ს. შახბაზი, ტალიბლი, რზაევ, ფარდჟზადე, ჩილინგაროვ სარქის (უპ.) შირ-ალი ახუნდოვ, ტაგი გაზრატკული ოღლი (უპ.), ფახსად ალიევ;

(გაგრძელება ხვალ)

ეროვნებათა საბჭოს წევრები

საქართველოდან

გიორგაძე არ., მახარაძე ფ., სტურუა ვ., სუხიშვილი ლ., ელიავა შ.,

აჭარისტანიდან—მოწყობილი.

აფხაზეთიდან—ალანია.

სამხრეთ-ოსეთიდან — ბეკუზაროვი.

სომხეთიდან

ბაკუნც, იონისიანი აშ., კარინიან, კასიანი ს., მრავიან.

აზერბეიჯანიდან

ალამალი-ოღლი, ბუნიატ-ზადე, ჯაბიევი, კარაევი, ახუნდოვი რუხ.

მთის ყარაბაღიდან—კარაკოზოვი არმ.

ნახიჩევანის რესპუბლიკიდან—ბაგიროვი.

სრ. საკავშირო საბჭოთა ყრილობაზე არჩეულია 87 დელეგატი. (დელეგატების სიას მოვათავსებთ ხვალ).

ყრილობის დახურვა

არჩევნების დასასრულ ყრილობას მოკლე სიტყვით მიმართავს ამხ. მიხა ცხაკაია, რომელიც აღნიშნავს რა ყრილობის საქმიან ნაყოფიერ მუშაობას, გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ ყრილობის ერთსულოვანი მისწრაფება აღადგინონ ჩვენი ქვეყნის მეურნეობა და ფეხზე წამოაყენონ ჩვენი გლეხობა, სავსებით განხორციელდება და სინამდვილეთ იქცევა.

ყრილობა ინტერნაციონალის მღერით ღამის 11 საათზე იხურება.

ყრილობის რეზოლიუციები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

მოისმინა რა ამხ. გუსეინოვის მოხსენება 1925—26 წლ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში, რომ გადასახადის საერთო განწესრიგება, რაც მნიშვნელოვნად გამარტივებულია ყოველმხრივ, რჩება ისეთივე რაც წარსულ კამპანიის დროს, ე. ი. იბეგრება მხოლოდ მიწა და საქონელი და დაბეგვრის ერთეულათ რჩება ძველი სახნავი მიწის დესეტინა, რომელშიაც გადაყვანილია მიწა სხვადასხვა კულტურით და საქონელი შედარებითი შემოსავლიანობის მიხედვით დაწესებულ კოეფიციენტით,—ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობა საჭიროთ სთვლის:

I. იმისდამიხედვით, რომ მთელ კავშირში დაკლებულია გადასახადის საერთო რაოდენობა შარშანდელთან შედარებით 400 მილიონიდან 300 მილიონამდე და აგრეთვე იმის გამო, რომ ამიერ-კავკასიას თავს დაატყდა სტიქიური უბედურებანი, შემცირებული იქნას გადასახადის თანხა ამიერ-კავკასიის ფედერაციაში მაქსიმალურად შესაძლებელ რაოდენობამდე.

II. რათა თვითეულ გლეხს მიეცეს საშუალება წინასწარ გამოიანგარიშოს მისი ხვედრი გადასახადის ჯამი და ამით შეტანილი იქნას სიმტკიცე მის სამეურნეო ანგარიშებში; მიწის და საქონლის გადაყვანის კოეფიციენტი და გადასახადებას განაკვეთი დაწესებული იქნას თვითეული რაიონის საშუალო მოსავლიანობის მიხედვით მთელ რიგ წლების განმავლობაში და არა მიმდინარე წლის მოსავლიანობის მიხედვით, როგორც ეს ხდებოდა დღემდის, და გამოცხადდეს ეს არა შემოდგომაზე, არამედ გაზაფხულზე აღრიცხვასთან ერთად და იგი დარჩეს უცვლელი მთელი საგადასახადო წლის განმავლობაში.

III. რათა თვითეულმა გლეხმა იცოდეს წინასწარ, როდის და გადასახადის რომელი ნაწილი უნდა გადაიხადოს მან, დაწესებული იქნეს მტკიცე ვადა, რომელიც განსაზღვრულია იმისდამიხედვით, თუ როდის ხდება გლეხთა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაცია. ეს ვადა შემდეგ აღარ უნდა შეიცვალოს, და თავის დროზე უნდა იქნას ფართოდ გამოქვეყნებული.

IV. ვინაიდან მთელ კავშირში შემცირდა საქონლის სახნავ მიწაზე გადაყვანის კოეფიციენტი ერთი მესამედით, შემცირდეს შესაძლებელ ფარგლებში ეს კოეფიციენტი ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვისაც.

V. სახნავ მიწაზე სხვადასხვა კულტურის და საქონლის გადაყვანის კოეფიციენტი დაწესდეს სხვადასხვანაირი სხვადასხვა რაიონებისათვის ადგილობრივი პირობების მიხედვით.

VI. თემის, უბნის, რაიონის პოლიტიკურ და სამეურნეო დონეს აწევის მიზნით მთელი გადასახადის არა ნაკლებ ერთი მესამედისა გადაირიცხოს უშუალოდ სათემო ბიუჯეტში.

VII. სასურველად იქნას ცნობილი ღარიბ-გლეხთა მეურნეობისათვის შეღავათების მინიჭება ამიერ-კავკასიის მეურნეობათა საერთო რიცხვის 25 პროცენტის ფარგლებში.

VIII. დაბეგვრის ობიექტების საღრიცხვო მუშაობაში ჩაბმული იქნან სასოფლო საბჭოები და გლეხთა წარმომადგენლები, რისთვისაც უნდა მოეწყოს განსაკუთრებული სასოფლო კომისიები, რომლებიც აღრიცხვის შემდეგ ცნობებს უდგინენ სოფლის ყრილობებს განსახილველად დაშვებულ შეცდომების გასასწორებლად და შესაფერ შესწორებების შესატანად.

IX. გლეხობისათვის პროდუქციის გასაღებაში დახმარების აღმოჩენის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩაბარების დროისათვის სახელმწიფო, სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანოების საშუალებით მოეწყოს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების გეგმაშეწონილი დამზადება, რისთვისაც საჭიროა თავის დროზე კრედიტების გახსნა.

სასოფლო-სამეურნეო კრედიტებისა და ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობის შესახებ

მოისმინა რა ამხ. ჩხენკელის მოხსენება ა|კ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის და ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობის შესახებ, ამიერ-კავკასიის საბჭოთა მესამე ყრილობა აღნიშნავს, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მთავარი საფუძვლები მდგომარეობენ ამიერ-კავკასიის საგლეხო მეურნეობის აღდგენის, განვითარების და განმტკიცებისაკენ მიმართულ სახელმწიფო ღონისძიებების და გლეხთა ფართო მასების თვითმოქმედების ერთმანეთთან სისწორით შეთანხმებაში, სასოფლო-მეურნეობის და სასოფლო-სამეურნეო მრეწველობისათვის კრედიტების გეგმაშეწონილად მიწოდების გზით, რაც სავსებით ეთანხმება საბჭოთა კავშირის ეკონომიური პოლიტიკის ძირითად საფუძვლებს.

ყრილობა აღნიშნავს, რომ საქონლის და ფულის მეურნეობის პირობებში, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მუშაობა, რომელსაც ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე აერთიანებს და ხელმძღვანელობს ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი, უნდა ემსახურებოდეს უმეტესად მცირე და საშუალო შეძლების მქონე მეურნეობებს, რომლებიც სჭარბობენ სასოფლო მეურნეობაში; უპირატესობა უნდა ეძლეოდეს გლეხთა შრომითი გაერთიანებებს, უნდა ხდებოდეს კრედიტების გაღება წარმოების და გასაღების საჭიროებათათვის, მათ შორის: საწარმოო საშუალებების მიწოდება, ინვენტარის აღდგენა, საქონლის ბრუნვის გადიდება და სასოფლო მეურნეობის პროდუქციის გასაღება უაღრესად ხელსაყრელ პირობებში.

ყრილობა ფიქრობს, რომ სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების სისწორით მიწოდების ამოცანები შეიძლება გადაჭრილ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის ისეთი მტკიცე სისტემის შექმნის გზით, რომელშიაც გაერთიანებული იქნება სახელმწიფო ღონისძიებებთან ერთად ფართო საზოგადოებრივი თვითმოქმედება; სასოფლო-სამეურნეო კრედიტი არ შეიძლება მოეწყოს გეგმიანი პრინციპის და საერთო—სახელმწიფოებრივ და საკრედიტო პოლიტიკის გავლენის გარეშე. მისი განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებით იქნება მოწყობილი საკრედიტო ამხანაგობათა ფართო და მიზანშეწონილად განაწილებული ქსელი, რომელიც წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის პირველი საფეხურის უჯრედს.

ყრილობა სცნობს, რომ რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკები (სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებანი) წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის საორგანიზაციო და ხელმძღვანელ ცენტრს ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალ ცალკე რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

ყრილობა სავსებით იწონებს ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობას, სწორად სთვლის მის საერთო ხაზს ამიერ-კავკასიაში სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის განმტკიცებისა და აღმშენებლობის საქმეში და საჭიროდ სთვლის მიუთითოს მისი მუშაობის მთავარ მომენტებზე სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის განვითარების და განმტკიცების დარგში, რომლებიც მდგომარეობენ შემდეგში:

1) საჭიროა მიღებულ იქნეს სახელმწიფო საშუალებების საბიუჯეტო წესით მიღება ა|კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის და რესპუბლიკანურ სასოფლო-სამეურნეო ბანკების ძირითად კაპიტალების გასაძლიერებლად.

2) ყრილობა ფიქრობს, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის წინაშე არსებული ამოცანები შეიძლება გადაჭრილ იქნენ საბჭოთა მთავრობის ღონისძიებებთან ერთად, თუ მათ ფართოდ გამოეხმაურა თვით გლეხური მოსახლეობა თავისი წვრილი თანხების სასოფლო სამეურნეო კრედიტის სისტემისათვის გადაცემის გზით. ამიტომ ყრილობა აუცილებლად სთვლის, რომ სერიოზული ყურადღება მიექცეს გლეხთა ანაბარების და თანხების მიზიდვას, ისინი უზრუნველყოფილი უნდა იქნენ ყოველგვარ საფრთხისაგან, მოეწყოს მათი მიღება უფრო ადვილ და უბრალო ფორმებში.

3) თავის ფინანსიურ და ოპერატიულ მუშაობაში ამიერ-კავკასიის სასოფლო ბანკი ხელმძღვანელობს საოპერაციო გეგმით, რომელიც შეთანხმებულია საბჭოთა კავშირის ცენტრალურ სასოფლო-სამეურნეო ბანკთან და დამტკიცებულია ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მიერ, ხოლო რესპუბლიკანური სასოფლო-სამეურნეო ბანკები (სასოფ.-სამ. კრედიტის საზოგადოებანი) თავიანთ საოპერაციო გეგმებს ადგენენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატების საპერსპექტივო გეგმების საფუძველზე და უთანხმებენ ა.-კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკს.

4) აუცილებლად განვითარებული უნდა იქნეს მთელს ამიერ-კავკასიაში საკრედიტო ამხანაგობათა ქსელი, რომელიც წარმოადგენს პირველი საფეხურის უჯრედს გლეხთა მეურნეობათათვის კრედიტების მიწოდების დარგში, და გადიდებული უნდა იქნეს მათი ძირითადი კაპიტალი.

საკრედიტო ამხანაგობანი ეწყობიან სოფლის, თემის, უბნის, რაიონის და სხვ. მასშტაბით, სასოფლო-მეურნეობის მდგომარეობის, გლეხთა მოსახლეობის რაოდენობის, მუშათა კადრის არსებობის და აპარატის დატვირთვის შესაძლებლობის მიხედვით.

5) ყრილობა სავსებით სწორად სთვლის სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის მიერ სავაჭრო ოპერაციებზე ხელის აღებას. ამავე დროს ის აუცილებლად სთვლის საშუამავლო ოპერაციების განვითარებას და გაფართოებას სასოფლო მეურნეობისათვის საწარმოო საშუალებების მიწოდების და გლეხთა ნაწარმოების გასაღების დარგში.

6) ყრილობა დიდ მნიშვნელობას აძლევს სასოფლო მეურნეობაში მავნებლებთან ბრძოლას და აგრეთვე მეურნეობათათვის სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების რაციონალურად მიწოდებას და ამიტომ აღიარებს, რომ მანქანების და სამკურნალო საშუალებების მიწოდება უნდა შეადგენდეს სასოფლო-სამეურნეო კრედიტის მთელი სისტემისათვის ერთ ერთ უმთავრეს საზრუნავ საგანს.

7) ამიერ-კავკასიაში, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში, სადაც სჭარბობს ძვირფასი კულტურები და საწარმოო ნედლეულის წარმოება, ყოველმხრივ დახმარება უნდა გაეწიოს სპეციალური სახის საწარმოო-გამსაღებელ გაერთიანებათა მშენებლობას.

8) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გლეხთა მეურნეობის კოლექტიურ გაერთიანებისათვის (კომუნები, სასოფლო-სამეურნეო არტელები და სხ.) კრედიტების მიცემას და ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს სასოფლო მეურნეობაში წარმოების განსაზოგადოებრივებულ ფორმების წარმოშობას და განვითარებას.

9) მთელი სასოფლო-სამეურნეო კრედიტის გეგმიანი მთლიანობის დაცვის მიზნით, ყრილობას საჭიროთ მიაჩნია სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სისტემის ხაზით ტარდებოდეს სახელმწიფოს ყველა ღონისძიებები სასოფლო მეურნეობისათვის კრედიტების მიწოდების დარგში.

10) იმ მიზნით, რომ კრედიტები ეძლეოდეს გლეხობის უფრო ხელმოკლე წრეებს, რომ კრედიტები უფრო მიზანშეწონილად ხმარდებოდეს საწარმოო მოთხოვნილებებს, რომ სასოფლო-სამეურნეო კრედიტის სფეროში მოექცეს სოფლის მთელი საზოგადოებრივობა, — საკრედიტო ამხანაგობებთან უნდა დაარსდეს აღმრიცხავ-გამსესხებელი კომიტეტები, რომლებშიც შევლენ გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტების, სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის, სასოფლო აღმასკომების და სოფლის სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები.

11) რადგან გლეხებს შორის დიდია მოთხოვნილება საწარმოო კრედიტებზე, რომლებიც სასოფლო მეურნეობის საწარმოო ბრუნვის ხანგრძლივობის გამო, საჭიროებენ გრძელ ვადას, აუცილებლად იქნეს ცნობილი, პირველად, გრძელვადიანი კრედიტების გაცემის გაფართოება და, მეორედ, სასოფლო-სამეურნეო კრედიტის იმგვარად მოწყობა, რომ ის ეთანხმებოდეს სასოფლო მეურნეობის სეზონურ ხასიათს; სესხის დაბრუნება უნდა ხდებოდეს იმ დროს, როცა გლეხობა ასაღებს თავის მოსავალს.

12) რადგან ამიერ-კავკასიის გლეხობა ყოველწლიურად საჭიროებს დახმარებას საშემოდგომო და საგაზაფხულო თესლით, საჭიროა დაარსდეს მუდმივი სათესლე ფონდი, როგორც ფულადი, ისე ნატურალურ ფორმებში, რათა გლეხობას თავის დროზე ეძლეოდეს დახმარება.

რადიო-დეპეშები

(„საკროსტა“-ს ცნობებით)

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

მოლაპარაკება ბრიანთან

პარიზი, 13 აპრილი, ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ბრიანთან მოლაპარაკების დროს, დე-მონზი და რობინო დაჟინებით მოითხოვდენ კაბინეტის დაუყოვნებლივ შედგენას იმ მიზნით, რათა დეპუტატთა პალატაში და სენატში გატარებული იქნას კანონპროექტი, რომელიც მოაწესრიგებს ქაღალდის ფულის ტრიალს; **მაგრამ ამის შემდეგ კაბინეტი უნდა გადადგეს.** შემდეგ სააგენტო იუწყება, რომ ბრიანმა გადასწყვიტა სერიოზული ყურადღება მიაქციოს დე-მონზის წინადადებას.

13 აპრილს ბრიანმა რესპუბლიკის პრეზიდენტს დუმერგს წარუდგინა მოხსენება რობინოსა და დე-მონზისთან მოლაპარაკების შესახებ. საჭიროთ მიაჩნია რა პალატაში კომისიის გადიდების კანონპროექტის სასწრაფოთ გატარება, ბრიანი მაინც ფიქრობს, რომ დროებითი მთავრობის შედგენის ამოცანა ძნელი განსახორციელებელია.

მდგომარეობა გამოურკვეველია

პარიზი, 13 აპრილი. პოლიტიკურ კრიზისის გადაწყვეტა ჯერ კიდევ არ არის მოსახერხებელი. ამ კრიზისის ერთ ერთ შედეგად იქნება ის, რომ სოციალისტებისათვის საჭირო იქნება განსაზღვრული პოზიციის დაჭერა: ან უნდა მიიღონ მონაწილეობა მთავრობაში, ან ოპოზიციაში ჩაუდგენ მთავრობას.

ბრიანი, რომელიც მოითხოვს სოციალისტების მონაწილეობას მთავრობაში, სცდილობს საბოლოოდ გაუტეხოს მათ სახელი მემარცხენე ფრთის შემადგენლობაში ბურჟუაზიის შეყვანით.

მიუხედავათ ბრიანის უარყოფისა, ადვილი შესაძლებელია, რომ ის **შეეცდება კონცენტრაციონულ მთავრობის შედგენას იმ შემთხვევაში, თუ სოციალისტები უარს იტყვიან მთავრობაში მონაწილეობაზე.**

ლატვია და საბჭოთა კავშირი

უარყოფენ ყველაფერს

მოსკოვი. 13 აპრილი. საბჭოთა კავშირის საქმეთა რწმუნებულმა ლატვიაში ლამბაროვმა ოფიციალური შეკითხვა მისცა ლატვიის გარეშე საქმეთა სამინისტროს გენერალურ მდივანს ალბატს, თუ როგორი ხასიათი ჰქონდა პოლონეთის, რუმინეთის, ესტონეთის, ლატვიის და ფინეთის გენერალურ შტაბების კონფერენციას, რომელიც სწარმოებდა რიგაში. შეკითხვის საპასუხოდ ალბატმა განაცხადა, რომ აღნიშნულ **კონფერენციას არ ჰქონია მტრული ხასიათი საბჭოთა კავშირის და გერმანიის მიმართ.**

შემდეგ ალბატმა განაცხადა, რომ **ლატვია არ შევა სახელმწიფოთა არცერთ კავშირში,** რომელიც მტრულად იქნება განწყობილი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის მიმართ.

რუმინეთი, ალბატის სიტყვით, არავის არ მოუწვევია, და რუმინეთის წარმომადგენელი პოლონეთის წარმომადგენელთან ერთად გამოცხადდა ისე, რომ ის არ ყოფილა მოწვეული ბალტიის განაპირა სახელმწიფოების მიერ.

ამერიკა და იაპონია-საბჭოთა კავშირის შეთანხმება

ნიუ-იორკი, 13 აპრილი. ნიუ-იორკის გაზეთი „ჯორნალ კომმერსი“ სწერს, რომ „არჩარევის პოზიცია“, რომელიც სახელმწიფო დეპარტამენტმა დაიჭირა იაპონიისათვის სახალინზე კონცესიების მინიჭების საკითხში, სავსებით სწორია.

გაზეთს სასაცილოდ არ ჰყოფნის ცნობა, თითქოს საბჭოთა კავშირი აწყობს „შეთქმულებას“ იაპონია-ამერიკის ურთიერთობაზე გავლენის მოსახდენად და ამტკიცებს, რომ **იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება სავსებით კანონიერია და ხელსაყრელი ორივე მხარესათვის.**

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ ამერიკელი კაპიტალისტები, რომელნიც მოლაპარაკებას აწარმოებენ საბჭოთა კავშირთან, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის მთავრობა არ სცნობს მას, უნდა შეურიგდენ იაპონია-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შედეგებს.

ამასთანავე გაზეთი ხაზს უსვამს ამერიკის ზარალს, რომელიც მას მიადგა შორეულ-აღმოსავლეთის ახალ ბაზრების დაკარგვის გამო. ამერიკას აღარ აქვს საშუალება დაამუშაოს და გამოიყენოს შორეულ-აღმოსავლეთის ბუნებრივი სიმდიდრეები, რითაც იაპონია ამიერიდან ფართოთ ისარგებლებს.

საფრანგეთის ხის დამმუშავებელთა ყრილობა

პარიზი, 13 აპრილი. 12 აპრილს გაიხსნა ხის დამმუშავებელთა რევოლიუციონური პროფკავშირების საორგანიზაციო ყრილობა. სრულიად რუსეთის ხის დამმუშავებელთა კავშირის წარმომადგენლებმა, რომელთაც საშუალება არ ჰქონდათ დასწრებოდენ ყრილობას, რადგან საფრანგეთის მთავრობამ უარი სთქვა მათთვის ვიზების მიცემაზე, გაგზავნეს დეპეშა, რომელშიაც ხაზგასმული ყრილობის დიდი მნიშვნელობა ხის დამმუშავებელთა საერთაშორისო მოძრაობისათვის.

ყრილობამ მოიწონა ფედერაციის მუშაობის ანგარიში.

საფრანგეთის პიონერთა ყრილობა

პარიზი. 13 აპრილი. 12 აპრილს გაიხსნა ბავშვთა კომუნისტურ ჯგუფების (პიონერების) მეორე ყრილობა. ყრილობამ გაარჩია ბავშვთა კომუნისტური პრესის და ბურჟუაზიის და პროლეტარიატის დამოკიდებულების საკითხები. ყრილობამ რუსეთის პიონერთა მისალმებას უპასუხა მისასალმებელი დეპეშით, რომელშიაც პიონერები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ლენინის სიკვდილის გამო. ყრილობის საპატიო თავმჯდომარეთ არჩეულია ლენინი.

ყვითლები და პირველი მაისის დღესასწაული

ყვითლები კაპიტალის ინტერესების სადარაჯოზე

ბერლინი, 13 აპრილი. გერმანიის პროფკავშირთა საბჭომ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც ის მოუწოდებს მუშებს ჩაატარონ პირველი მაისი 8 საათის სამუშაო დღის, საყოველთაო მშვიდობიანობის, სოციალური კანონმდებლობის განვითარების და რესპუბლიკის დაცვის ლოზუნგებით.

ამასთან ერთად ის წინადადებას აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს განიხილონ საკითხი, შეიძლება თუ არა მუშაობის შეწყვეტა 1 მაისს, **„რომ სერიოზული ზიანი არ მოუვიდეს მრეწველობის მუშაობის შემწყვეტთ“.**

კომუნისტური პრესა სასტიკად აკრიტიკებს მოწოდებას, რომელიც მოწმობს იმას, რომ პროფკავშირთა რეფორმისტული გაერთიანება მზად არის უარი სთქვას 1 მაისის დღესასწაულზე ყოველგან, სადაც მწარმოებლები დაემუქრებიან მუშებს რეპრესიებით“.

იაპონიაში

მთავრობის კრიზისის მოლოდინში

ტოკიო, 13 აპრილი. პარტია „კენსეკაის“ ორგანო „ხოჩი“ მოწინავე წერილში ზიზღით იხსენიებს პარტია „სეიუკაის.“ „სეიუკაის“ ორგანო „ციურ“ თავის მხრივ უწოდებს კატოს კაბინეტს „მერყევ კაბინეტს.“ ეს პოლემიკა მოასწავებს კოალიციის მოახლოვებულ დაშლას. ადვილი შესაძლებელია, რომ თუ გენარალი ტანაკა, რომელმაც შეიტანა განცხადება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, რათა ხელი მოჰკიდოს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას, უარს იტყვის მთავრობაში მონაწილეობაზე, პრემიერი კატო შეეცდება შეადგინოს კაბინეტი მხოლოდ „კენსეკაის“ პარტიის წევრებისაგან ან წინადადებას მისცემს პრინც-რეგენტს შეადგინოს ახალი კაბინეტი პარტია „სეიუტოკონტოს“ წევრებისაგან იმ იმედით, რომ ეს გამოიწვევს „სეიუკაის“ პარტიაში განხეთქილებას.

ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის პლენუმი

მოსკოვი, 13 აპრილი. 13 აპრილს დაამთავრა მუშაობა ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომის მე-5 პლენუმმა. პლენუმმა მიმართა ყველა ქვეყნის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობას მოწოდებით ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ „რემმელსს“ მის მუშაობაში.

უკანასკნელი ცნობები

აჯანყება ოსმალეთში.

ანგორა, 14 აპრილი. მთავრობის ჯარების მოქმედება ვითარდება. აჯანყებულები, რომელნიც შეჯგუფებულნი არიან გენჯის ახლოს მდებარე მთებში, სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ მთავრობის ჯარს. აჯანყებულებმა ამ უკანასკნელი თვის განმავლობაში ბრძოლებში მოკლულთა სახით 5.000 კაცზე მეტი კაცი დაკარგეს. სამხრეთის მხრივ მთავრობის ჯარებმა წაიწიეს გენჯისაკენ და დაიკავეს ნა—კასორი.

სალამოთი მოგვიანებით ოფიციალურ წრეებში გავრცელდა ხმები, რომ მთავრობის ჯარებმა დაიკავეს ქალაქი გენჯა, აჯანყების უკანასკნელი მთავარი კერა.

რეპრესიები იტალიაში.

რომი. 14 აპრილი. იტალიის სხვა და სხვა ქალაქებში 6 ფაშისტის მოკვლისა და 5 დაჭრის გამო ფაშისტების გაზეთები მოითხოვენ მიღებულ იქნეს რეპრესიული ზომები რევოლიუციონურ ორგანიზაციების წინააღმდეგ.

მთავრობამ დაშალა რკინისგზელთა კლასიური პროფკავშირი. ბოლონიაში პოლიციამ დააპატიმრა რკინისგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხუთი წევრი, წაიღო ყველა საბუთები და დაბეჭდა კავშირის ბინა. ცეკას მეექვსე წევრი დააკავეს ბოლონიის მიდამოებში. მეშვიდეს ეძებენ.

გრიგალი ფოთში

ფოთი, 14 აპრილი. წუხელ ფოთზე აღმოსავლეთის მიმართულებით გადაიარა ძლიერმა გრიგალმა. რიონის კუნძულზე გრიგალმა გამოაგდო მეთევზეთა დამსხვრეული გემი. ბაზარში დანგრეულია რამდენიმე შენობა. მუშათა უბანში, ნაბადაში, გრიგალმა სახლებს მოჰგლიჯა სახურავები. საკმაოდ დიდი ზიანი მიადგა ელექტრონისა და ტელეფონის ქსელს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი. 14 აპრილი. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სრულიად საკავშირო ყრილობა გაიხსნება მოსკოვში ა|წ. 18 მაისს.

გლეხი საპასუხისმგებლო სამუშაოზე.

ვიატკა. 14 აპრილი. კოტელნიჩის მაზრის უპარტიო გლეხი ისაკოვი წამოყენებულია საპასუხისმგებლო სამუშაოზე საბჭოთა რუსეთის სახ. ჯანმრთელობის კომისარიატში.

კომუნისტური უმაღლესი სასწავლებელი.

მოსკოვი. 14 აპრილი. სახ. განათლების კომისარიატის კოლეგიამ გადასწყვიტა კრუპსკაიას სახელობის ლენინგრადის პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობის ინსტიტუტი და მოსკოვის ასეთივე ინსტიტუტი გაერთიანებული იქნას ერთ კომუნისტურ უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც დაიწყებს მუშაობას 1926—1927 სამოსწავლო წელს.

შეღავათი შინამრეწველებს და ხელოსნებს.

მოსკოვი. 11 აპრილი. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების პროექტი ზოგიერთ

ბელორუსია

მშობლიურ ენაზე.

მოსკოვი, 14 აპრილი. ბელორუსიის 3.7 სკოლაში შემოღებული იქნება სწავლება ბელორუსულ ენაზე.

კბილის ექიმობა სოფლად.

მოსკოვი. 13 აპრილი. ჯანმრთელობის სახკომისარიატმა წინადადება მისცა ჯანმრთელობის განყოფილებათა გამგეებს მიიღონ ზომები სათემო-საექიმო პუნქტებში კბილის საექიმო კაბინეტების გასახსნელად.

ადგილებზე ჩატარებული იქნება ფართო კამპანია კბილების წინასწარ ექიმობის მნიშვნელობის შესახებ.

5 პროცენტიანი სესხის რეალიზაცია.

მოსკოვი. 14 აპრილი. წინასწარი, არასრული ცნობების თანახმად, მოსკოვში და პროვინციებში 7—13 აპრილამდე გასაღებული იქნა 5 პროცენტიან შინაურ სესხის ობლიგაციები 40.806.340 მანეთის რაოდენობით.

საფინანსო თათბირი

მოსკოვი, 14 აპრილი. 11 აპრილს სხდომაზე მოსმენილი იქნა **ლოევეცკის** მოხსენება სასოფლო-სამეურნეო კრედიტის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საკრედიტო შესაძლებლობათა უფრო რაციონალურად გამოყენების მიზნით განზრახულია როგორც შემნახველ, ისე გამსესხებელ ოპერაციების თავის მოყრა ერთ საკრედიტო კოოპერატივში, რომელიც უნდა გახდეს სოფლის საკრედიტო ცენტრად. შემნახველ კოოპერაციის წარმოებისათვის საჭიროა თანხების შენახვის სრული საიდუმლოება და მკაცრი საკრედიტო დისციპლინა, — რათა გლეხი დარწმუნდეს, რომ როგორც მისგან, ისე კოოპერაციის წაღებული ფულები თავის დროზე დაურიგდება მათ. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საოლქო საზოგადოებები უნდა დავყოთ საოლქო და საგუბერნიო ნაწილებად, რომელნიც სრულიად დამოუკიდებელნი უნდა იყონ ცენტრისაგან.

შემდეგ **შმელევმა** გააკეთა მოხსენება 3 წლის საფინანსო გეგმის შესახებ. შმელევის მოხსენება მიღებული იქნა ცნობად. და თათბირმა დაადგინა დაუგზავნოს ადგილებს დირექტივები 3 წლიან საფინანსო გეგმის შესადგენად იმ ვარაუდით, რათა მაისში შესაძლებელი გახდეს მუშაობის დაწყება.

ლენინგრადის გუბერნიის საბჭოთა ყრილობა

ლენინგრადი. 14 აპრილი. 13 აპრილს სმოლნში გაიხსნა ლენინგრადის მე-15 საგუბერნიო საბჭოთა ყრილობა. სხდომის დარბაზში რიკოვის და ზინოვიევის გამოსვლამ ხანგრძლივი ტაში და ოვაციები გამოიწვია.

ყრილობის გახსნისას, ზინოვიევმა აღნიშნა, რომ პირველათ იკრიბება არა პეტროგრადის, არამედ ლენინგრადის საბჭოთა ყრილობა. ზინოვიევი ამბობს: „ყრილობა თანდათან ბოლომდე ლენინური იქნება. მას ემახსოვრება ის მოვალეობანი, რომელსაც ჩვენ გვაკისრებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ ჩვენ ვატარებთ ლენინის სახელს.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებათ არჩეული იქნენ: რიკოვი, კალინინი, სტალინი, ძერჟინსკი, კამენევი და ფრუნზე.

ყრილობის საქმიან პრეზიდიუმში არჩეული არიან: ზინოვიევი და ევდოკიმოვი. პრეზიდიუმში არჩეული იქნენ აგრეთვე რამდენიმე უპარტიო გლეხი.

ცენტრალურ მთავრობის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. რიკოვი.

ამხ. რიკოვის მოხსენება

ლენინგრადი. 14 აპრილი. ლენინგრადის საბჭოთა საგუბერნიო ყრილობაზე საბჭოთა კავშირის მთავრობის მუშაობის შესახებ წაკითხულ მოხსენებაში რიკოვმა სთქვა:

„სახელმწიფოს შინაური მდგომარეობა განისაზღვრება იმ წარმატებით, რასაც მივაღწიეთ ჩვენ ქვეყნის მეურნეობის ყველა დარგებში. მრეწველობამ ამჟამად მიაღწია ომის წინანდელ დონის 70 პროც., ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლისას კი ეს დონე არ აღემატებოდა 18—20 პროც. მრეწველობის სხვადასხვა დარგები ამჟამად მოგებას ნახულობენ.

სოფლის მეურნეობის აღორძინებითი პროცესი ხასიათდება ნათესის სივრცის ზრდით, მიწის დამუშავების გაუმჯობესებით და სპეციალურ, მეტ შემოსავლიან კულტურათა ნათესების გადიდებით, როგორც მაგ. ბამბის, ჭარხლის, სელის და სხვ. კულტურათა ნათესების.

ფინანსთა დარგში მდგომარეობა ხასიათდება მით, რომ სახელმწიფო ხარჯთ-აღრიცხვა წელს მეტია შარშანდელზე 30 პროცენტით და მიუხედავად ამისა იგი შედგენილია უემისიოდ, რაც ჯერ კიდევ წარსულ წელში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა“.

შემდეგ რიკოვი ჩერდება ძირითად კაპიტალის საკითხზე:

„ფაბრიკათა და მრეწველობის თითქმის მთელი რიგი დარგებისა— ამბობს იგი—ისეთ მდგომარეობაში იმყოფება, რომ საკითხი წარმოების მომავალ გაფართოების შესახებ შეიძლება გადაჭრილ იქნეს მხოლოდ იმ პირობით, თუ აშენებული იქნება ახალი ფაბრიკები, ან თუ შეცვლილი იქნება მათი არსებული მოწყობილობა ახალი მოწყობილობით“.

შემდეგ ის ეხება სოფლისა და ქალაქის ურთიერთობას და აღნიშნავს ღარიბ გლეხობისათვის დახმარების გაწევის აუცილებლობას. ეხება აგრეთვე კოოპერაციისა და კერძო ვაჭრობის საკითხებს და აღნიშნავს, რომ საჭიროა კერძო კაპიტალის დახმარება საქონლის ქალაქიდან სოფლისათვის მიწოდების საქმეში.

ამის შემდეგ რიკოვი გადადის საგარეო მდგომარეობის საკითხზე. მისი თქმით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თუმცა ჯერ არა სჩანს, მაგრამ მოსალოდნელია კაპიტალისტურ მთავრობების გამოსვლა. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყოველგვარი მოულოდნელობისათვის. საჭიროა ვიზრუნოთ ჩვენი საზღვრების დაცვისა და ჩვენი ჯარის ბრძოლის უნარის გაძლიერებისათვის.

ს. ს. ს. რ. ხ. კ. [illegible] საბჭო [illegible] კომისია ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიო საქმეები

ტიხონის „ანდერძი"

მოსკოვი, 14 მარტი. სიკვდილის წინ ყოფილმა პატრიარქმა ტიხონმა დასწერა მოწოდება, რომელშიაც ნათქვამია:

„დიდი სამოქალაქო ნგრევის წლებში, ღმერთის სურვილით, რომლის გარეშე მსოფლიოში არაფერი არ ხდება, რუსეთის სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხელისუფლება, რომელმაც იკისრა მძიმე მოვალეობა—სისხლისმღვრელი ომის და საშინელი სიმშილის შედეგების მოსპობა.

დროა უკვე მორწმუნეებმა შეითვისონ ქრისტიანული თვალსაზრისი, რომელიც ამბობს, რომ ერების ბედს სწყვეტს ღმერთი, და მიიღონ ყველაფერი ის, რაც მოხდა, როგორც ღმერთის სურვილის გამოხატულება. ჩვენ არ უნდა შევბღალოთ ჩვენი სარწმუნოება და ეკლესია, მტკიცეთ უნდა დავიცვათ ისინი, მაგრამ როგორც მოქალაქეების მხრივ, ჩვენ გულწრფელი უნდა ვიყოთ საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და უნდა ვიმუშაოთ მის საკეთილდღეოთ; ამასთანავე ეკლესიის გარეშე ცხოვრება და მოღვაწეობა უნდა შეუფარდოთ ახალ სახელმწიფოებრივ წესწყობილებას და გავკიცხოთ ყოველგვარი კავშირი საბჭოთა ხელისუფლების მტრებთან და ყოველგვარი აშკარა თუ ფარული აგიტაცია მის წინააღმდეგ.

ჩვენ მოუწოდებთ საეკლესიო საზოგადოებებს, განსაკუთრებით მათ აღმასრულებელ ორგანოებს, არ დაუშვან არავითარი ბოროტი განზრახვა მთავრობის წინააღმდეგ, არ იქონიონ მონარქიული წესწყობილების დაბრუნების იმედი და დარწმუნდენ იმაში, **რომ საბჭოთა ხელისუფლება არის ნამდვილი ხალხური, მუშურ-გლეხური ხელისუფლება, ამიტომ ის მტკიცე და ურყევია.**

ამასთანავე ჩვენ ღრმა მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ რუსეთის ზოგიერთმა შვილებმა, არქიეპისკოპოსებმა და ეპისკოპოსებმაც კი, სხვადასხვა მიზეზების გამო, მიატოვეს სამშობლო და საზღვარგარეთ დაიწყეს ისეთი მუშაობა, რომლისთვისაც ისინი მოწოდებული არ არიან, და რომელიც ყოველ შემთხვევაში საზიანოა ჩვენი ეკლესიისათვის. სარგებლობენ რა ჩვენი სახელით და ჩვენი საეკლესიო ავტორიტეტით, ისინი საზღვარგარეთ აწარმოებენ კონტრრევოლიუციონურ მუშაობას.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ჩვენ მათთან არ გვაქვს კავშირი, როგორც ამას ამტკიცებენ ჩვენი მტრები, ისინი ჩვენთვის უცხო არიან და ჩვენ ვგმობთ მათ მოღვაწეობას. მათი მოქმედება გამოკვლეული უნდა იქნეს. მათ პასუხი უნდა მოსთხოვოს მართლმორწმუნეთა საეკლესიო კრებამ.

სინოდის მოწოდება

მოსკოვი, 14 აპრილი. ტიხონის გარდაცვალების გამო, სინოდმა მოწოდებით მიმართა ყველა არქიეპისკოპოსებს, ეპისკოპოსებს და მართლმადიდებელ ეკლესიის ყველა „ერთგულ შვილებს".

აღნიშნავს რა, რომ ტიხონის სახელთან დაკავშირებულია რუსეთის უკანასკნელი დროის საეკლესიო ცხოვრების მრავალი სამწუხარო ამბები, სინოდი მოუწოდებს მათ: „დავიწყებული იქნეს უთანხმოება, რომელიც შეიქნა ეკლესიის გაყოფის გამო, და მოამზადონ თავისი მრევლი საეკლესიო ყრილობისათვის, რომელმაც მშვიდობიანობა უნდა შეიტანოს მართლმადიდებელ ეკლესიაში".

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

რადიო-ინსტრუქტორების კურსები

ბათომი. 13 აპრ. ბათომის მუშათა ტექნიკუმთან გაიხსნა ინსტრუქტორების მოსამზადებელი კურსები აჭარისტანის რადიოს მოყვარულთა საზოგადოებისათვის.

მუშათა სახლების შეკეთება

ბათომი. 13 აპრ. აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველო შეუდგა 12 სახლის შეკეთებას მუშების ბინებისათვის.

პიონერთა მოძრაობა აჭარისტანში.

ბათომი. 13 აპრ. ამჟამად აჭარისტანის მაზრებში ირიცხება პიონერთა 8 კოლექტივი, რომლებშიაც შედის 300 პიონერი.

მადნეულობის აღმოსაჩენად.

ბათომი. 13 აპრილი. აჭარისტანის სავაჭრო-სამრეწველო სამმართველომ გადასდო 28.000 მანეთი აჭარისტანის მთებში მადნეულობის აღმოსაჩენად.

სოხუმში—ცუდი ამინდია.

სოხუმი, 13 აპრილი. ისევ დაიწყო წვიმები; ქრის ძლიერი სამხრეთ-დასავლეთის ქარი. ზღვაზე ქარიშხალი და ნისლია. იტყობინებიან მეთევზეთა რამდენიმე ნავის დაღუპვის შესახებ.

აზერბეიჯანი

ბაქოს ბაზრობის გახსნის წინ

ბაქო, 13 აპრილი. 11 აპრილს ბაქოს ბაზრობის სახელზე მოვიდა 3.630 ტონა საქონელი, რომლის ღირებულება უდრის 1.043.986 მანეთს.

სპარსეთიდან ჩამოტანილია 262 ტონა ბრინჯი და 10 ტონა ბამბა.

ყინვების შედეგები

ბაქო, 13 აპრილი. ყინვების გამო დაიღუპა გლეხების მსხვილფეხა საქონლის 25—30 პროც. ყინვებმა დააზარალა აგრეთვე ბრეწეულის და ლეღვის ხეები.

მდ. ლენქორანის ნაპირების გამაგრება

ბაქო, 13 აპრილი. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ საჭიროთ სცნო მდ. ლენქორანის ნაპირების გამაგრება.

საზოგადოება „მდელოსი"

„მდელოსი" წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან კოოპერატიულ ორგანიზაციას. ჯერ ერთი წელიწადი არც კია, რაც ის დაარსდა, მაგრამ მისმა მუშაობამ უკვე საკმაო ფართე ხასიათი მიიღო და დიდი ყურადღებაც მიიქცია კოოპერატიულ ცენტრებისა.

ბოლო დროს ამ კოოპერატივმა თავის სამოქმედო ასპარეზი უფრო გააძლიერა და შეიძინა საკუთრებათ არყის ქარხანა. ამ ორგანიზაციის ასეთმა სწრაფმა და უჩვეულო გაფართოებამ გამოიწვია ცენტრალურ ორგანიზაციების ყურადღება იმ მხრივ, რომ გამოიკვლიონ—რა საფუძველზე მუშაობს ეს კოოპერატივი და რა შესაძლებლობანი აბადია მას. ამ მოსაზრებით დაინიშნა სპეციალური კომისია, რომელშიც შედიოდენ კოოპერატიულ სამმართველოსი, „წარმოკავშირისა", „ცეკავშირის" და პრესის წარმომადგენლები.

კომისიამ კოოპერატიულ პრინციპებისა და გამოცემულ წესდებათა თვალსაზრისით განიხილა „მდელოსის" დაარსება, მისი შემადგენლობა და მუშაობა. ადგილობრივ დაათვალიერა სამოქმედო რაიონი: სოფ. დღლისი, დიღომი და თბილისის სანაპირო ადგილები. ბევრგან დაკითხულ იქნენ თვით წევრები კოოპერატივისა. ამ ფორმალურ და ფაქტიურ რევიზიის შედეგები ასეთია: მდელოსი წმინდა კოოპერატიული ორგანიზაციაა. აერთებს წვრილ მეურნეებს (მებაღეებს, მებოსტნეებს, მოსაქონლეებს), ასაღებს მათ ნაწარმოებს, ხელს უმართავს მეურნეობის განვითარებაში, აძლევს ავანსებს, კრედიტებს და სხვა. თბილისის მნიშვნელოვან ადგილებში აქვს გასაღებელი პუნქტები, აქვს არყის ქარხანა და ერთი სასადილოც.

ამ ორგანიზაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წვრილი მეურნეობის შეკავშირებასა და განვითარებაში. უნდა აღინიშნოს, რომ თვით წევრები დიდის დაინტერესებით უცქერიან ამ კოოპერატივს და აქტიურ მონაწილეობას იღებენ მის მუშაობაში თავიანთ საქონლის გასაღებით.

„მდელოსს" აგრეთვე დიდი ნდობა აქვს მოპოებული საკრედიტო დაწესებულებებში თავისი გადამხდელის უნარიანობით.

მხოლოთ ამ კოოპერატივის ორგანიზაციულ მუშაობაში უნდა აღინიშნოს შემდეგი ნაკლი: ბუღალტერული ანგარიშები ბოლომდის წესზე არ ყოფილა წარმოებული. მხოლოდ ეხლა დაუჭერიათ თადარიგი და ინსპექციის წარმომადგენელთან აწესრიგებენ მთელი წლის ანგარიშებს.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს სარევიზიო კომისიის უმოქმედობა.

ეს ორი ნაკლი დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს, რომ ასეთი ფართე ორგანიზაციის საქმეები თავიდან არ აიწეწოს და არ წარმოიშვას შემდეგ მრავალი გაუგებრობა.

როგორც განაცხადა „მდელოსის" გამგეობამ, მთელი ანგარიშები მოგვარებული იქნება საზოგადო კრებამდის (აპრილის ბოლოს) და სარევიზიო კომისიაში აქტიურ წევრების არჩევაც ალბათ მაშინ მოხდება.

სხვა მხრივ კოოპერატივის გამგეობას დიდი უნარიანობა და ფრთაგაშლილობა გამოუჩენია, რაც უეჭველათ წაქეზების ღირსია ჩვენი მეურნეობის წარმატებისა და კეთილდღეობისათვის.

მოამბე.

მზადება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის ჩასატარებლად

ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში უკვე შეუდგა მომავალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ჩასატარებელი კამპანიისათვის მზადებას.

მის მიერ რაიონებში გაგზავნილია ინსტრუქტორები გადასახადის ასაკრეფათ, ადგილობრივ თანამშრომელთა კადრის მოსამზადებლად. გამომუშავებულია საგანგებო ანკეტა, რომლის მიხედვითაც ჩატარებული იქნება მეურნეთა ქონებრივი აღწერა.

წელს საგადასახადო ერთეულად აღებულია სახნავ-სათესი მიწების მოედანი, რომელსაც შეუფარდდება ყველა დანარჩენი სამეურნეო შემოსავალი გლეხისა.

ა.-კ. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველო საქართველოში, ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რათა თავიდან აცილებულ იქნას და აღარ განმეორდეს ყველა ის ნაკლი, რომელთაც ადგილი ჰქონდათ აქამდე გადასახადის გაწერის დროს.

აქამდე ა.-კ. ფედერაციის მასშტაბით იცემოდა გადასახადის შესახებ განსაკუთრებული დეკრეტი, წელს კი იგი გამოიცემა მთელს საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

აღწერას შეუდგებიან ა.-წ. პირველ მაისიდან.

შაბიამანის უბაჟოდ შემოტანა

რადგანაც შაბიამანის და სეტყვის წინააღმდეგ საბრძოლველ შუშხუნების შემოტანის დაბეგვრამ საგრძნობლად გაადიდა ამ უკანასკნელთა ფასი, ამისათვის საქ. მიწადმოქმედების სახკომმა აღძრა შუამდგომლობა სათანადო ორგანოების წინაშე, ბათუმით შემოსატან 70.000 ფუთი შაბიამანის და 30.000 შუშხუნის საბაჟო გადასახადისგან განთავისუფლების შესახებ.

საბჭოთა კავშირის შინავაჭრობის სახკომის რწმუნებულმა ამიერ-კავკასიაში მხარი დაუჭირა ამ შუამდგომლობას, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე და ამ დღეებში ა. კ. მთავრობამ მიიღო ცნობა, რომ ა. კ. საბაჟო განყოფილებას მიცემული აქვს განკარგულება ტელეგრაფით, „ზაკგოსტორგ"-ის და „სელსოიუზ"-ის სახელზე გამოგზავნილი შაბიამანისა და შუშხუნების საბაჟო გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

პარტიული ცხოვრება

რუსეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პარტწევრების მუშაობით ზედმეტათ დატვირთვა მოსპობილი იქნება

ამ დღეებში შესდგა რ. კ. პ. ცეკას იმ კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა ქვედა საფეხურის პარტიული მუშაკების და პარტიული უჯრედების მუშაობით ზედმეტად დატვირთვის ლიკვიდაციის საკითხები.

კომისია საჭიროდ სთვლის **ყველა პარტიული ორგანიზაციების სხდომების და კრებების რიცხვის შემცირებას.** კრებები უფრო გულმოდგინეთ უნდა იქნეს მომზადებული და უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მათ მონაწილეთა მეტი აქტივობა. წარმოებებში და დაწესებულებებში უფრო ხშირად უნდა იქნეს მოწყობილი სხვადასხვა კომისიების და ორგანიზაციების გაერთიანებული სხდომები ერთდაიმავე საკითხების შესახებ.

საჭიროა შემცირებული იქნეს მინიმუმამდე კომისიების და თათბირების რიცხვი წარმოებებში. ცალკე კომისიები და დამხმარე ორგანიზაციები შეიძლება მოწყობილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ამა თუ იმ დავალების დაკისრება ცალკე ამხანაგისა ანდა უკვე არსებულ ორგანოსათვის.

ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში გადასინჯული უნდა იქნეს არსებული ორგანიზაციები, კომისიები და სხვა იმ მიზნით, რომ მოხდეს ერთნაირ კომისიების და დამხმარე ორგანიზაციების გაერთიანება.

კომისიამ აუცილებლად სცნო, რომ კრებები და სხდომები არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგრძელდეს 3 საათზე მეტი, ამასთანავე ყველა კრებები უნდა გათავდეს არა უგვიანეს საღამოს 10 საათისა.

პარტიულ უჯრედებთან არ უნდა დაარსდეს არავითარი სპეციალური კომისიები ანდა სექციები, რომლებიც ისეთივე მუშაობას აწარმოებენ, როგორც საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებთან და ადგილკომებთან არსებული, კომისიები და ორგანიზაციები.

კომისიის აზრით, ნებაყოფლობითი საზოგადოებების და სხვა ამგვარი მასიური ორგანიზაციების განყოფილებები წარმოებებში უნდა დაარსდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ნამდვილ და ენერგიულ მუშაობას დაიწყებენ.

ყოველგვარი ორგანოების არჩევნების დროს **საჭირთა უარყოფილი იქნეს კანდიდატურა ისეთი ამხანაგების, რომლებიც უკვე არჩეული არიან ერთი ან ორ ორგანოში.** საჭიროა ახალი ამხანაგების კანდიდატურის წამოყენება.

აუცილებელია **ფართოდ ჩაბმული იქნენ საქმიან მუშაობაში და წამოყენებული იქნენ ყოველგვარ საზოგადოებრივ თანამდებობაზე უპარტიო მუშები.**

კომისია საჭიროდ სთვლის, რომ არავითარი კრებები და სხდომები არ უნდა იქნეს მოწვეული დასასვენებელ დღეებში. **შაბათიდან (დღის 4 საათიდან) ორშაბათამდი არავითარი საქმიანი კრებები, თათბირები და სხდომები არ არის დასაშვები.** გარდა დასასვენებლათ დაწესებულ დღეებისა, აუცილებლათ **უზრუნველყოფილი უნდა იქნეს თვითეული პარტიული ამხანაგისათვის შესაძლებლობა იმისა, რომ მან გამოიყენოს დღე და ღამის განსაზღვრული ნაწილი ძილისა და დასვენებისათვის.**

შვებულების მიცემის წესის შესახებ

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაციები პასუხისმგებელ ამხანაგებს შვებულებას აძლევდენ არა გეგმაშეწონილი წესით, რაც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ წარსული საზაფხულო პერიოდის განმავლობაში პარტიული მუშაობის ტემპი შენელდა. დაგზავნილ ცირკულიარში ცეკა წინადადებას იძლევა გაფართოებული იქნეს პასუხისმგებელ მუშაკებისათვის შვებულების მიცემის პერიოდი, რომელიც მიმდინარე წელში უნდა დაიწყოს პირველ აპრილიდან. შვებულების ვადის დაწესებისა და იმ მუშაკების რიცხვის გამორკვევის დროს, რომლებიც ერთდაიმავე დროს მიდიან დასასვენებლად, საჭიროა სათანადოთ უზრუნველყოფილი იქნეს ყველა იმ ორგანოების და დაწესებულებების ნორმალური მუშაობა, რომლებშიაც ითვლებიან შვებულებაში მიმავალი ამხანაგები.

ცეკა წინადადებას აძლევს პარტიულ კომიტეტებს შეუდგენ პასუხისმგებელი მუშაკების შვებულების ვადის და რიგის დაწესებას.

„ევკოგრუზი"-ს ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედი

10 აპრილს შესდგა ხე-ტყის ქარხნის კომუჯრედის და მუშა-მოსამსახურეების საერთო კრება, რომელსაც დაესწრენ თანამშრომლების და პარტიულ ამხანაგების დიდი უმრავლესობა.

დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხი: თანამშრომელთა როლი კოოპერაციაში; მოხსენება „ევკოგრუზი"-ს ეკონომიური კომისიის მუშაობის შესახებ და მიმდინარე საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **გ. კანდელაკმა**, რომელმაც აღნიშნა შემდეგი:

კოოპერაციის თანამშრომელთა ორგანიზაციასთან დამოკიდებულების საკითხი მათი უფლება-მოვალეობების შესახებ ფრიად მნიშვნელოვანი იყო წინათაც და საყურადღებოა განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როდესაც კოოპერაციას მიკუთვნებული აქვს საბჭოთა მეურნეობის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი.

კოოპერაციის ყველა წევრებს და კერძოთ თანამშრომლებსაც უნდა ასულდგმულებდეს კოოპ. მოძრაობის დიადი მიზანი: კომპარტიასთან და პროფკავშირებთან ერთად არსებული წესწყობილების გარდაქმნა კომუნისტურ საზოგადოებად.

კოოპერაციის თანამშრომელთა შეგნებულ მოპყრობას თავის ორგანიზაციისადმი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კერძოდ კი ეს შეგნებული მოპყრობა ორგანიზაციისადმი უნდა მდგომარეობდეს კოოპერაციის თანამშრომელთა მოვალეობის სინდისიერად შესრულებაში, მათ დახელოვნებაში, მათზედ დაკისრებული საქმის შესწავლაში, წევრებისა და საერთოდ მომხმარებლებისადმი პატივისცემით და ზრდილობიან მოპყრობაში. გარდა ამისა კოოპერაციის თანამშრომლები, როგორც ისეთი წევრები, რომლებიც ყველაზედ ახლო სდგანან კოოპერატივის საქმიანობასთან, თავის გამოცდილების და დაკვირვების შედეგებს უნდა უზიარებდნენ კ-ვის ხელმძღვანელებს და მათ უთითებდნენ ყოველივე არსებულ დეფექტებზედ. მეორის მხრივ ხელმძღვანელებიც უნდა უწევდნენ ანგარიშს და ნდობით ეპყრობოდნენ თავიანთ თანამშრომელთა შენიშვნებს. თანამშრომელთა და ხელმძღვანელთა ასეთი ურთიერთობის პრინციპზედ არის დამყარებული ის დებულებები, რომლებიც ამ უკანასკნელ დღეებში შეიმუშავა პროფკავშ. საბჭომ და ამისდა მიხედვით ჩამოაყალიბა თანამშრომელთა შორის ეკონომიური სათათბიროები და ეკონომიური კომისიები.

კოოპერაციის თანამშრომელთა ასეთი მნიშვნელოვანი როლის ღირსეულად შესასრულებლად აუცილებელია გამსჭვალვა კოოპერატიული იდეებით, მაგრამ ამის მიღწევა კი შეიძლება კოოპერატიული მოძრაობის გაცნობით, კოოპერაციის პრინციპების, მის ისტორიის და თეორიის შესწავლით.

მეორე საკითხის, „ევკოგრუზი"-ს ეკონომიურ კომისიის მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომისიას სულ ჰქონია 4 სხდომა და ერთი გაფართოებული თათბირი, რომელზედაც გაურჩევიათ ფრიად სერიოზული საკითხები, როგორიცაა მაგ. ზედნადები ხარჯების შემცირება, საქონლის შენახვის მოგვარება, საქონლის შერჩევა მომხმარებელთა მოთხოვნილების მიხედვით, თანამშრომლების მუშაობის ნაყოფიერების და ანგარიშების და საბუთების თავის დროზე წარმოდგენის შესახებ, სავაჭრო აგენტების მუშაობის და ზოგი საქონლის ფასების დაკლების შესახებ და სხვ.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს როგორც პარტიულმა ამხანაგებმა, ისე უპარტიო თანამშრომლებმაც, რის შემდეგ კრებამ ერთხმად დაადასტურა კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

დასასრულ კრებამ აუცილებელ საჭიროთ სცნო ახალი ეკონომიური კომისიის არჩევა, რომლის შედგენა დაევალა ადგილკომს კომუჯრედის პასუხისმგებელ მდივანთან შეთანხმებით.

პარტკორი ელიზბარ.

აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის დასამთავრებლად

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის საამშენებლო მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს.

მიუხედავათ ცუდი ზამთრისა, შემოდგომიდან გაზაფხულამდე მუშაობა არ შეწყვეტილა. სადგურის საამშენებლო მუშაობას აწარმოებენ უმთავრესად ახლო-მახლო სოფლებიდან მოსული გლეხები.

დღემდე შესრულებულია მიწის და კლდის სამუშაოები, რომელიც ჯერ სავსებით არ არის დამთავრებული, საქმის უფრო წარმატებით მსვლელობას აბრკოლებდა საამშენებლო კომიტეტის განკარგულებაში მყოფი თანხის სიმცირე.

სამაზრო აღმასკომისა და შუამდგომლობისა და საქართველოს საგეგმო კომისიის დასკვნის მიხედვით ამიერ-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის სამუშაოების გასაგრძელებლად მიეცეს აბაშის ჰიდრო-ელექტრო სადგურის საამშენებლო კომიტეტებს მიმდინარე საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარში **38 ათასი მანეთი.**

ამ თანხიდან 10 ათასი მანეთი ეძლევა კომიტეტს სუბსიდიის სახით, ხოლო 28 ათასი უპროცენტო სესხად საქართველოს კომუნალური ფონდიდან—ორი წლის ვადით სათამასუქო უზრუნველყოფის ქვეშ.

აბაშის ჰიდრო-ელსადგურის დასამთავრებლად სულ საჭიროა კიდევ 434.000 მანეთი.

უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა აბაშის ჰიდროელსადგურის დასამთავრებლად საჭირო ზემოხსენებული თანხა მხედველობაში იქნეს მიღებული 1925—26 წლის ბიუჯეტის შედგენის დროს.

საგაზაფხულო მუშაობა გურიაში

ოზურგეთის მაზრის სოფელ ჭანიეთის 11 გლეხმა შეადგინეს სასოფლო-სამეურნეო არტელი ჩაის და მანდარინის მეურნეობის საწარმოებლად და კარტოფილის დასათესად ჩაის მცენარის და მანდარინის პლანტაციების გასაშენებლად და აგრეთვე კარტოფილის დასათესად გლეხებს აქვთ 5 დესეტინა მიწა, განზრახულია ამ მოედნის გადიდება. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა არტელს გაუხსნა მიზნობრივი კრედიტი 1000 მან. რაოდენობით.

საქართველოს დამზღვევი ორგანოების წარმომადგენელთა მესამე კონფერენცია

მესამე სხდომა

საექიმო-სამკურნალო საქმე

მოხსენებები ადგილებიდან.

12 აპრილს დილის სხდომაზე გრძელდება მოხსენებები ადგილებიდან, ჩამოსული ამხანაგები მიუთითებენ კონფერენციას ზოგიერთ სუსტ მხარეებზე, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება ყურადღების მიქცევა.

ამხ. **ემელიანოვა** (აფხაზეთიდან) აღნიშნავს სასწრაფო დახმარების უქონლობას, რასაც ხშირად თან სდევს ავადმყოფთა უკმაყოფილება, ამასთანავე ცუდათ არის მოწყობილი ავადმყოფების კურორტზედ გაგზავნის საქმე, რაც საჭიროა დროზე აღმოიფხვრას.

ამხ. **ძიძავე** (სიღნაღიდან) მოითხოვს კურორტებზე განაწილებულ ადგილების ხელახლა გადასინჯვას. სიღნაღის მაზრაში დაზღვეულია 3000 მუშა-მოსამსახურე; კურორტებზე კი გვაქვს მოცემული მხოლოდ 2 ადგილი. რასაკვირველია, ეს ძლიერ ცოტაა, რადგან სიღნაღის მაზრა სამალიარიო ზოლში შედის. ამასთანავე მას არ მიაჩნია მიზანშეწონილად ფონდის „დ"-ს შემცირება.

ამხ. **პაატაშვილი** (თელავიდან) საჭიროდ აღიარებს ერთხელ და სამუდამოდ დამზღვევი სალაროების შრომის დაცვის ინსპექტორების ფუნქციებისაგან განთავისუფლებას, რადგან სალაროს ხელმძღვანელები დატვირთული არიან არა პირდაპირი საქმეებით.

შემდეგ გამოსული ამხანაგები ასათიანი, ცხომელიძე და სხვები აღნიშნავენ ზოგიერთ გაუგებრობას, რომელსაც ადგილი აქვს სამკურნალო დახმარების დროს აღმასკომსა და დამზღვევ პუნქტებს შორის და მოითხოვენ ამ უკანასკნელის აღმოსაფხვრელად სათანადო კამპანიების ჩატარებას.

მეოთხე სხდომა

სოციალური დაზღვევა და შრომის დაცვის ორგანო

(ამხ. არჩილ მიქაძის მოხსენება).

იმავე დღის საღამოს სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. არჩილ მიქაძემ. იგი შეეხო სოცდაზღვევის ორგანოებისა და შრომის დაცვის ინსპექტორების ურთიერთ დამოკიდებულებას, აღნიშნა ყველა ის მიზეზები, რითაც გამოწვეული იყო სოცდაზღვევის მუშაკების შრომის დაცვის საქმეებით დატვირთვა.

ამის მიზეზი, მომხსენებლის აზრით, უმთავრესად ის იყო, რომ არ გვყავდა საკმაოდ გაწვრთნილი მუშაკები შრომის დაცვის დარგში. ამას თან ერთვოდა სხვა უსახსრობაც. ამის გამო იძულებული ვიყავით შრომის დაცვის საქმე დაგვეკისრებინა სოც-დაზღვევის პუნქტებისათვის, ვინაიდან ყველაზე უფრო მეტად მას უხდებოდა მუშათა შრომის ინტერესების პირდაპირი მეთვალყურეობა. ასე თუ ისე, ეს დაკისრებული საქმე დამზღვევმა ორგანოებმა შეასრულეს, მაგრამ იმ თავითვე საჭიროა აღინიშნოს, რომ ბევრი ჩვენი მუშაკი ერთმანეთში ურევდა შრომის დაცვისა და სოც-დაზღვევის ფუნქციებს. ამის შედეგი არის სწორედ ის გადატვირთვა ზედმეტი საქმეებით, რომელზედაც აქ ლაპარაკობენ სოც-დაზღვევის ხელმძღვანელები. ამიერიდან ჩვენ ვეცდებით შრომის დაცვის საქმეები თანდათანობით ჩამოვაცილოთ სოც-დაზღვევის ხელმძღვანელებს. ამ მიზნით მსხვილ სამრეწველო პუნქტებში ახლო მომავალში გამოვყოფთ შრომის დაცვის ცალკე ინსპექტორებს ხოლო პატარა მაზრებში ჩვენ გვეყოლება სავსებით მომზადებული კადრი შრომის დაცვის მუშაკებისა.

ამხ. არ. მიქაძეს მრავალი შეკითხვები მისცეს, რომელზედაც მომხსენებელმა პასუხი გასცა.

მეხუთე სხდომა

ამხ. ელბაქიანის მოხსენება

13 აპრილს, დილის სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ელბაქიანმა** პროფილაქტიკის შესახებ. იგი შეეხო პროფილაქტიკის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, რომლის ძირითადი აზრი მდგომარეობს მასში, რომ ადამიანი წინასწარ გაფრთხილებით აიცდინოს ავადმყოფობას. ახალმა მედიცინამ საგრძნობლად დიდი ნაყოფი გამოიღო ასე, რომ მისი შემწეობით გერმანიაში 99 პროცენტით შემცირდა ავადმყოფება.

ერთი მთავარი დარგი პროფილაქტიკის არის დისპანსერიზაცია, რომელიც გულისხმობს მუშათა ჯანმრთელობის შემოწმებას. ამ საქმისათვის დარსებულია რამოდენიმე დისპანსერები მთავარ პუნქტებში. აქ ხდება მუშათა შემოწმება, რის შემდეგ ისინი იგზავნებიან სამკურნალოდ სხვადასხვა ადგილებში და კურორტებზე.

საკურორტო საქმე.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ სრულიად საქართველოს პროფკავშირს და დაზღვევის სამმართველოს აქვს რამოდენიმე სანატორიუმები აბასტუმანში, ცემში, ქობულეთში და სხვ. გასულ წლის განმავლობაში იქ განუწყვეტლივ იგზავნებოდენ ავადმყოფი—მუშა-მოსამსახურენი. მომავალ ზაფხულისათვის ჩვენ ვადიდებთ 60 საწოლით სურამის სანატორიუმს, რომელიც შემდეგნაირად დავანაწილეთ, 45 საწოლი მიეცემა აჭარას, 5—სამხრეთ-ოსეთს, 5—თბილისს და 5—სხვა ადგილებს.

ამას გარდა გავადიდეთ ადგილები ყველა მაზრებისათვის დასასვენებელ სახლებში თითქმის 50 პროც.-ით.

უნდა ითქვას, რომ საქართ. პროფკავშირთა საბჭოს რესპუბ. სოც. დაზღვევის სამმართველოსთან ერთად მუშაობა ამ საქმეზე ნაყოფიერია, რაც თავდებია ჩვენი მუშათა კლასის გაჯანსაღებისა.

ამხ. ელბაქიანის მოხსენების გარშემო შემოვიდა აუარებელი შეკითხვები, რომელზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

დილის სხდომა დაიხურა დღის 2 საათზე.

საბჭოთა სასამართლო

სანაკოევის საქმე

უზენაეს სასამართლოში ამხ. ივ. ცინცაძის თავმჯდომარეობით, სასამართლოს წევრების ამხ. ხურუმოვის, პარკაძის, უზენაეს სასამართლოს პროკურორის ამხ. კარტოზიას და საზოგადოებრივ ბრალმდებლის ამხ. ჯატიევის მონაწილეობით დაიწყო სანაკოევის და სხვ. საქმის გარჩევა. საბრალმდებლო სკამზე ზის 5 ბრალდებული: 1) მათე სანაკოევი (რომლის ბრალდება გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის 117 მუხლის მეორე ნაწილში, 108 მუხლის პირველ ნაწილში, 116 და 119 მუხლებში), 2) ტატე კოჩიევი (112 მ. და 109 მუხლის პირველი ნაწ.), 3) ვასილ ტედეევი, 4) პადო კავისოვი და 5) ოლღა სანაკოევას (სამივეს ბრალდება გათვალისწინებულია 117 მუხლის 1 ნაწილში).

ბრალდებულ სანაკოევს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეჭირა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობანი სამხრეთ-ოსეთში: იყო საგანგებო დანიშნულების ნაწილების უფროსი, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურორის თანაშემწე სამხრეთ-ოსეთში და სხ.

მას ბრალი ედება შემდეგში: ის სარგებლობდა თავისი მდგომარეობით და თანამდებობით, ღებულობდა ქრთამებს, ახდენდა ზეგავლენას სასამართლოზე, რათა მის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო საქმე, სახელს უტეხდა საბჭოთა ხელისუფლებას სხვადასხვაგვარ ბოროტმოქმედებათა ჩადენით. დანარჩენ ბრალდებულებს ბრალად ედებათ ქრთამების მიცემა და შუამავლობა ქრთამების აღების დროს.

სასამართლოს მიერ გამოწვეულია 34-დე მოწმე. საბრალმდებლო დასკვნის წაკითხვის შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულთა დაკითხვას. ბრალდებულები არ სცნობენ თავს დამნაშავეთ. მთავარი ბრალდებული სანაკოევი აღიარებს, რომ მან დაუშვა შეცდომები, მაგრამ ეს არ იყო ანგარებით გამოწვეული.

იბეჭდება და 16 აპრილს
„კომუნისტი"-ს
ხელისმომწერლებს დაურიგდება
უფასო დამატება
„მეცნიერება და ტეხნიკა" №7

შინაარსი: **დ. ხმიადაშვილი**—თბილისში რადიო-მოამბის მოწყობისათვის; **ბუნებისმეტყველი**—მატერია და ენერგია; **კ. ბ—ძე.**—მიმოსვლის საშუალებათა განვითარება; **ს. მაკალათია**—წვეტიან ჯოხის სახნისიდან—ელექტრო-გუთნამდე; **ერ. ბენაშვილი**—რადიუმი და მისი თვისებები; **პროფ. ალექსანდრე თვალჭრელიძე**—ფლორიდინი (თავსაბანი მიწა); რკინისგზაზე ორთქლის ძალის გამოყენების 100 წლის თავი; **პროფ. გ. გენკელი**—ატლანტიდა; ბრძოლა მოხუცებულობასთან (გაახალგაზრდავება სისხლის გადმოსხმით); ავიაცია; **გ. გაჩეჩილაძე**—გადამცემი და მიმღები რადიო-სადგურები; რადიო-ქრონიკა; მეცნიერებისა და ტეხნიკის ქრონიკა.

ჟურნალი შეიცავს 16 გვერდ. ცალკე ნომერი ღირს 20 კაპ.

თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ.

დღეს, 15 აპრილს, საღამოს 5 საათზე, სასახლის „წითელ დარბაზში" შესდგება

მაზრაღმასკომების და თემაღმასკომების თავმჯდომარეთა, მაზრაღმასკომების და თემაღმასკომების წევრთა თათბირი საბჭოთა აღმშენებლობის საკითხის შესახებ ადგილობრივად.

ყველა თბილისში მყოფ ამხანაგთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს ცაკის მდივანი **ს. თოდრია.**

ქრონიკა

— **საექიმო დახმარება ღარიბ მაზრებს.** ჯანსახკომმა აღძრა შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა რესპუბლიკის 8 ღარიბესი მაზრა საექიმო დახმარების საქმეში აყვანილ იქნას სახელმწიფო ხარჯთაღრიცხვაზე.

— **ექიმების დაზღვეულ ავადმყოფთა ბინებზე მიწვევის** ახალი წესის გატარებისათვის საჭიროა დამატებითი ხარჯთაღრიცხვით 17,320 მანეთი.

— **ის დაზღვევის წიგნაკები,** რომლებსაც არ ექნებათ დაზღვეულთა სურათები ჩაკრული, არ შეიძლება აღრიცხული იქნან.

— **დახმარება სხვა სალაროების წევრებს.** მარტის თვის განმავლობაში თბ. დამზღვევ სალარომ დახმარების სახით ჩამოსულ სხვა კასების წევრებს მისცა 1403 მან. 60 კ.

— **საჰაერო ფლოტს** ფ.-ტელეგრაფის კომისარიატის ბრძანებით ნება მიეცა რიგს გარეშე ისარგებლოს საქალაქოშორისო ტელეფონით ჰაეროპლანის მიმოსვლის შესახებ საჭირო ცნობების გადასაცემათ.

— **მოტოციკლეტების მიღება საზღვარგარეთიდან.** ბათომში მიღებული იქნა ამერიკიდან ა|კ. სახ. ვაჭრობის მისამართზე 20 მოტოციკლეტი, ხარლეის და ინდიანას სისტემის.

— **სამეცნიერო ტერმინოლოგია.** ვისაც აქვს დამზადებული მეცნიერების ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგია, შეუძლია წარადგინოს იგი განათ. კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტეტის განსახილველად, რის შემდეგ გამოცემული იქნება წიგნად.

— **მესაქონლეობისათვის.** ა|კ სასოფ.-სამ. ბანკი გასული წლის 1-ლ აპრილიდან ამ წლის 1-ლ აპრილამდე საქართველოში მესაქონლეობის გასაუმჯობესებლად გლეხებს სესხათ მისცა 274,000 მან.

— **მატყლის დამზადება.** ამავე ხნის განმავლობაში აღნიშნულმა ბანკმა გლეხებს მატყლის დასამზადებლათ მისცა სესხათ 289 ათასი მან.

— **წიგნი კოოპერაციაზე.** წარმოკავშირის გამგეობამ ვადასწყვიტა მიმდინარე წელში გამოსცეს მთელი რიგი წიგნებისა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საკითხებზე.

— **ტყავის დამზადება.** გასულ წელს საქართველოში დამზადებული იქნა 313,380 ცალი ტყავი, ღირებული 660,800 მან.

— **სანიტგანათლების** დარბაზში (ევანგულოვის ქ. № 12) დღეს ექიმი ვართანოვი წაიკითხავს ლექციას ჰლექის შესახებ.

— **ფართლის შემოტანა.** საქ. შინა-ვაჭრობის კომისარიატს განზრახული აქვს რუსეთიდან საქართველოში ყოველთვიურად შემოიტანოს 75 ვაგონი ფართალი.

— **ჭაობის ამოშრობა.** ქობულეთის ჭაობების ამოსაშრობათ ა|კავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველომ გადასდო 20,000 მან.

— **საექიმო დახმარება.** საქ. დამზღვევმა სალაროებმა გასულ წელს საექიმო დახმარების საქმეზე დახარჯეს 577,717 მან. 72 კაპ.

— **ქართველ ექიმთა საზოგადოებაში.** ხუთშაბათს, 16 აპრილს, საღამოს 8 ს. საქართვ. მუზეუმის აუდიტორიაში შესდგება მორიგი კრება საქართვ. ექიმთა საზოგადოებისა. 1. მ. მგალობლიშვილი.—საშვილოსნოს ფიბრომიომების ეტიოლოგიის შესახებ. 2. ჯიბუტი.—თირკმელის კენჭები, პრეპარატების დემონსტრაციით. 3. მიმდინარე საკითხები.

— **წარმოების გასაჯანსაღებლათ.** შრომის დაცვის განყოფილება ამ დღეებში დასდებს ხელშეკრულებას ტყავის ტრესტთან ტყავის ქარხნებში მექანიზაციის შემოღებისა და ხელახალი მოწყობის შესახებ წარმოების გაჯანსაღების მიზნით.

— **დისერტაციის დაცვა.** უნივერსიტეტის მთავარ შენობაში 26 აპრილს, დილის 12 საათზე პათოლოგიურ ანატომიის უფროსი ასისტენტი ვასილ **ვარაზიშვილი** დაიცავს დოქტორის ხარისხის მისაღებად დისერტაციას შემდეგი სათაურით: „მღვრივე შეშუპება ღვიძლის მარაგ ცილის მოძღვრებასთან დაკავშირებით". ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნულნი არიან: პროფ ვ. ვორონინი, პროფ. ს. ვირსალაძე და დოც. ვ. ჟღენტი.

ახალი წიგნები

— **იბეჭდება და ახლო ხანში** გამოვა ექ. ცეცხლაძის შრომა: „ადამიანის ფიზიოლოგია".

— პროფ. მაჭავარიანის—„მუცლის ღრუს ქირურგია".

— გეტმანის—„მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია".

— ივ. გომართლის—„ტვინი და სული".

შემთხვევები

— **ცეცხლი.** 13 აპრილს საღამოს პლეხანოვის შეს. № 10, ლევან გუშჭინის სამზარეულოში გაჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლისმქრობელ რაზმის მიერ. ზარალი უდრის 1,000 მან.

— **ქურდის შეპყრობა.** 13 აპრილს, საღამოს 5 საათზე მე-2 სამილიციო რაიონის თანამშრომლებმა დააპატიმრეს ორი ქურდი—ვართან მურადოვი და სიმონ აბრამოვი, რომლებმაც გაქურდეს ბინა საპიორის ქუჩაზე.

— **ქურდობა.** 13 აპრილს, ლენინის ქ. № 46, გაქურდული იქნა ისლამგულოვის ბინა. წაღებული იქნა 120 მან. ნივთები.

ხელოვნება

მოზჟუხინის გასტროლები

„გოფმანის ზღაპრები"

მოზჟუხინის მეოთხე გასტროლისათვის დადგმული იყო გოფმანის ზღაპრები. ოპერაში ცენტრალური ფიგურაა გოფმანის ბოროტი გენია, რომელიც სხვადასხვა სახით წარსდგება მაყურებლების წინაშე.

ამ ბოროტი სულის პარტიებში გამოვიდა მოზჟუხინი. არ შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენას გასტროლის ხასიათი ჰქონდა.

ამ წარმოდგენაშიაც, როგორც ყოველთვის, მან შესძლო აუდიტორიის ყურადღების მიპყრობა, მაგრამ არა იმდენად, როგორც წინა საგასტროლო წარმოდგენებში. მოზჟუხინმა დრამატიულის მხრივაც ვერ მოგვცა თავისი პარტიის ის ნათელი სახეები, რომლებსაც ის წინეთ იძლეოდა (ეს როლი მან შექმნა თბილისში 1912 წელს).

ყველაზე უფრო გამოკვეთილი ფიგურა გასტროლიორმა მოგვცა მესამე მოქმედებაში (ექიმი მირაკლი); სუსტათ იყო გამოსახული დეპერტუტო და მეტად მკრთალად კაპელიუსი.

დანარჩენი შემსრულებლებიც თითქოს უგულოთ თამაშობდნენ და მღეროდენ. გუნებაზე ვერ იყო კულაგინი (გოფმანი). სიმღერაში არ სჩანდა ჩვეულებრივი მუსიკალობა და გრძნობა.

ყველგან სწორი არ იყო მომღერალი ქალის სცენიკური ინტონაცია; თავისი გარეგნობით ის ნაკლებ მოგვაგონებდა მოჯადოებულ [illegible] ქალს.

მკრთალი იყო მომღერალი ქალი პადლიშჩუკი ანტონიას როლში. მხოლოდ პოპოვა იყო ამ საღამოს ტეხნიკური ვოკალური შესრულების სიმაღლეზე.

სუსტათ არის დადგმული ავტომატების ცეკვა.

პ. გ.

— **„ბოჰემა".** დღეს, ოპერის თეატრ მი ემილიო ვაგის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა „ბოჰემა".

— **ლ. სობინოვის** მეორე გასტროლი გაიმართება ზეგ ოპერის თეატრში. წარმოდგენილი იქნება: „ლოენგრინი".

— **ცირკი.** წარმოდგენა ბაქოს ცირკის მსახიობთა მონაწილეობით. ფრანგული ჭიდაობა.

— **წითელი თეატრი.** დღეს წარმოდგენილი იქნება ქართულ ენაზე „ფუენტე ოვეხუნა", დადგმა დ. კობახიძის. მზადდება „ბასტილიის აღება".

— **ახალი სალიტერატურო გაზეთი.** მაისის პირველი რიცხვებიდან ბათომში გამოსვლას იწყებს აჭარის მწერალთა კავშირის ყოველკვირეული ორგანო „ლიტერატურული ტრიბუნა".

დღეს კინოებში

— აპოლო—„ნანტომში ცხოვრებისაკენ".
— არფასტო—„უდაბნოს გამოძახილი".
— სოლეი—„გლახა სტამბულიდან".
— მინიონ—„სობეიდის ცოლი".
— პალასი—„ბული და დოლარი".
— ჰისი—„ურაგანი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მოაგვარეთ ეს საკითხი.

(რკინის გზის სამმართველოს საყურადღებოდ).

მთავარ სახელოსნოში ამბულატორია იყო გახსნილი, სადაც მუშებს მუშაობის დროს ჰქონდათ საშუალება იქ სიარულის. სამწუხაროდ, ზოგიერთი მუშები ამას ბოროტად იყენებდნენ, ტყუილ-უბრალოდ დადიოდნენ ექიმებთან და სამუშაო საათებს კარგავდნენ, რის გამოც იძულებულნი გახდენ ამბულატორია მთავარ საავადმყოფოში გადაეტანათ, სადაც მიღება მუშების საღამოობით სწარმოებს.

ეს კი მუშებისათვის ძალიან ძნელია.

მუშა **მექვაბე.**

პლეხანოვის სახელობის თეატრი ყვავის.

პლეხანოვის სახელობის თეატრს ამ უკანასკნელ ხანებში მეტი ყურადღება ექცევა. თეატრის დრამატიულ დასს სათავეში ჰყავს გამოცდილი კაცი. თეატრთან კლუბიც დაარსდა, სადაც მუშაობს სხვადასხვა წრე. ბოლო დროს ამხ. დანდუროვის მეცადინეობით მოეწყო სახალხო კინო, რითაც მუშები დიდად კმაყოფილნი არიან. ვუსურვებთ შემდეგშიაც უფრო ენერგიულ მუშაობას და წინსვლას.

მუშკორი **პინჯარი.**

საიარაღო სამქროს საქმიანობა.

(მთავარ სახელოსნოების ადგილკომის საყურადღებოდ).

რკ. გზის მთავარ სახელოსნოებში არსებობს საიარაღო სამქრო. თუ შევიგონებთ ამ სამქროს წარსულს, მისი საქმის წარმოებაში დიდი არასასიამოვნო ისტორია გადაგვეშლება თვალწინ, მაგრამ ამ ჟამადაც ძლიერ ცუდად დგას საქმე ამ დარგში.

1922 წლიდან დღემდის ბევრი კომისიები იქნა დანიშნული საქმის წარმოების დასაყენებლად, მაგრამ დღემდის იქ არ დგას საქმე თავის სიმაღლეზე.

საქმე შემდეგშია: იარაღების შეკეთება, მისი დაკვეთა და მუშების მიერ მიღებული მასალის სწორად აღრიცხვა არ არის დაყენებული სწორად.

აგვისტოს ბოლო რიცხვებში ამავე საიარაღო საქმის გამოსარკვევად შესდგა საგანგებო კომისია, სადაც შედიოდენ ტ. მ. პ. 2 ბუნტური, კონტროლიორი ლებიოდვინი, სამქროს გამგე გნოევოი, ადგილკომის წარმომადგენელი პანტურია, საგანგებო განყოფილების მოანგარიშე მარკიზი.

ოთხი დღის მსჯელობის შემდეგ გამოტანილი იქნა სათანადო დადგენილება (იხილეთ საიარაღო სამქროს ოქმი ამა წლის 26 აგვისტოდან.) მაგრამ რეალურად ამ მხრით არაფერი გაკეთებულა. არ ვიცით რას მივაწეროთ ეს?!

სხვათაშორის აღსანიშნავია ამ ოქმის ერთი მუხლი, სადაც ნათქვამია: „მოწვეული იქნას საგამცემლო განყოფილებისათვის ერთი უფროსი იარაღის გამცემი, რომელიც იქნება ამავე განყოფილების ქონების პასუხისმგებელიო“ საკვირველია! ყველგან მცირდება შტატები და აქ კი შემცირების მაგივრად ბერავენ მას.

საიარაღო სამქროს გამგე გნოევოი როგორც ოსტატი კარგია, მაგრამ როგორც საქმის წარმოების მცოდნე, ძალზე მოისუსტებს.

მუშკორი **ზიხელ.**

გამოგზავნილი წერილებიდან

ალაგმეთ ეს ქალბატონი

(ადგილკომის საყურადღებოდ).

რკ. გზის სამასალო განყოფილების სათბობის საწყობში მსახურობს მემანქანე **ქ-ნი ჰუმბურიძე**, რომელსაც პირივით ეჯავრება მუშები და უხეშად ექცევა მათ. ამისთანა პირს ადგილი არ უნდა ჰქონდეს ამ დაწესებულებაში.

მუშკორი **ზიხელ.**

დაეხმარეთ მუშებს

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ).

ლენინის უბანში ზოგიერთ მუშას, თავისი საკუთარი პატარა სახლი აქვს რომელიც შეკეთებას მოითხოვს. და მუშას კი ეს არ შეუძლია.

აღმასკომო, დაეხმარე მუშებს ცოტათი სახლის შეკეთებაში.

ტექნიკოსი 2.

პროვინციაში

სოფ. ბალმა-ზანათი

(სუჯუნის თემი)

ამ სოფელში 250-ზე მეტი მოსახლეა. სოფელში არსებობს 4 წლიანი საბჭოთა სკოლა, სამკითხველო, კოოპერატიული წისქვილი და კოოპერატიული დუქანი ფურნით. ამ უკანასკნელში წარმოება დიდი ხანია შეწყვეტილია, არის მხოლოდ შენობა და ბევრი საჭირო ინვენტარები. საერთო კრების დადგენილებით სოფელმა სთხოვა ახალ-აბაშის „ეპო“-ს გამგეობას, რომ დუქანი თავის განყოფილებად გამოეცხადებია და გამოეგზავნა საჭირო საქონელი. გამგეობამ თანხმობა განაცხადა და აღუთქვა მცხოვრებთ დუქნის გაღება. უკვე 5 თვე გადის „ეპო“-ს გამგეობა ყურსაც არ იბერტყავს; თხოვნები თხოვნებზე თითქმის ყოველ დღე მიდის, მაგრამ ყოველთვის უყურადღებოდ სტოვებს.

რაც შეეხება სკოლას და სამკითხველოს, ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდიან.

არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ერთი რამ, რაც დიდად აფერხებს ადგილობრივ მცხოვრებთა სამეურნეო ცხოვრებას. ამ სოფელში გადის მდინარე აბაშა, რომელიც ჰყოფს აღნიშნულ სოფელს სოფ. გამოლმა-ზანათისაგან. ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის დროს ამ მდინარეზე ხიდის გაშენება დაწყებული იქნა, საჭირო მასალები ნახევარზე მეტი მომარაგებული იყო, მაგრამ ხიდი გაუკეთებელი დარჩა.

დღეს მდინარეზე გაშენებულია ფეხით გასასვლელი „ცოდვის“ ხიდი. ამ ხიდზე მცხოვრებლები ფორთხვით გადიან და მეტი წილი მოწაფეებისა ამ სოფლიდან სუჯუნის თემის შვიდწლედის მოსწავლენი ხშირად აცდენენ მეცადინეობას. ზოგი თუ გადის ამ ხიდზე, დიდი შიშითა და წვალებით. იყო შემთხვევები, რომ წყალში ჩავარდნილან მოწაფეები. ურმის გაყვანა ხომ სულ არ შეიძლება; ერთი სიტყვით მისვლა-მოსვლა მცხოვრებლებისა შეწყვეტილია.

ხმა დადის: მაისის დამდეგს დაიწყებენ ხიდის აშენებასო, ამის საპასუხოდ გლეხობა გაიძახის: „მეორე მოსვლამდის ხიდს ჩვენ ვერ ვეღირსებითო“.

სენაკის სამაზრო აღმასკომო! აუსრულეთ მცხოვრებლებს დიდი ხნის დაპირება.

ურო.

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთში იყო აშენებული საზაფხულო კინო-თეატრი „ეთერი“, რომელსაც ზამთარში სახურავი დაემსხვრა. დღეს თეატრს არავინ ყურადღებას არ აქცევს. არსებობს სცენის მოყვარეთა წრე, რომელსაც სურს წარმოდგენების გამართვა, მაგრამ შენობის უქონლობის გამო ვერაფერს აკეთებენ.

საჭიროა მიაქციონ ყურადღება და შეაკეთონ შენობა.

გ. ქვიანიძე.

გურიანთის თემი

(ოზურგეთის მაზრა)

გურიანთის თემი დაშორებულია ქალაქ ოზურგეთიდან ექვსი ვერსის მანძილზე.

გურიანთის თემი შესდგება ხუთი სოფლისაგან, ამ ხუთ სოფლიდან არც ერთი სოფელი არ არის კარგ მდგომარეობაში, მაგრამ განსაკუთრებით ცუდ პირობებში იმყოფება გზების უქონლობის გამო სოფელი ბაილეთი და ჰანიეთური.

ამ სოფელში ხშირია ისეთი გარემოება, რომ მიმოსვლა სრულიად შეწყვეტილია.

მცხოვრებლები ჯოჯოხეთურ მდგომარეობაში იმყოფებიან ნამუშევარის აკრეფის დროს გზების უქონლობის გამო.

ამ სოფლების მცხოვრებთ ხშირად გამოაქვთ კრებებზე დადგენილებები გზების კოლექტიურად შეკეთების შესახებ, მაგრამ დადგენილებები დადგენილებად რჩებიან და გზები დღესაც პირველყოფილ მდგომარეობაშია.

საჭირო არის სათემო აღმასკომის გზების სექციამ ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ამ გარემოებას, თავს იდოს ინიციატივა, გამოიყვანოს მცხოვრებლები გზის სამუშაოზედ პერიოდულად და თანდათან შეაკეთონ ეს დანგრეული გზები.

ბ. მ—ლისი.

პროვინციის ქრონიკა

— **სწავლა-განათლება სოფლად.** ამ ჟამად დვაბზუს თემში (გურია) არსებობს 2 შვიდწლედი, 5 ოთხწლედი და 5 ქოხ, სამკითხველო.

— **სოფ. ვანის** (ქუთ. მაზრა) რაიონში, ახლო ხანში მოწყობილი იქნება ბამბის მეურნეობის საცდელ-საჩვენებელი ყანა.

— **ქუთაისის სამაზრო აღმასკომი** სათესლე ფონდიდან გაჭირვებულ გლეხებს ურიგებს სათესლე მასალას უფასოთ.

— **სახალხო სახლის აგება.** ს. ცხებლის გლეხები (ოზურგ. მაზრა) თავიანთი საშუალებით აგებენ სახალხო სახლს და სკოლისათვის დიდ შენობას.

— **ქარელ-ხკრის არხის** გასაყვანათ მუშაობა განახლდება ახლო ხანში.

— **ქინაქინის ხის** გაშენების ცდას შეუდგენ სოხუმში.

— **ლუქსემბურგსა და თბილისს** შორის გზატკეცილის შეკეთება სწარმოებს დაჩქარებით. გლეხები დიდი ხალისით გამოდიან სამუშაოთ.

ტირაჟი—20.106

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბინის ქირის შესახებ

კითხვა

ჩვენ ვართ მოწაფეები (ორი ძმა) და გვიჭირავს ერთი ოთახი, გონჩაროვის ქუჩ. სახ. № 29, სივრცით 27 კვ. არშინი. არ გვაქვს სამზარეულო. სახლის პატრონი გვახდევინებს თვეში 15 მანეთს, გვაქვს მიცემული 60 მანეთი. გვაქვს სიღარიბის მოწმობა.

გთხოვთ გაგვაგებინოთ, თუ რამდენი უნდა ვიხადოთ ბინის ქირად და გვაქვს თუ არა უფლება მიცემული 60 მანეთი მომავალ თვეების ბინის ქირაში გავანაწილოთ.

ვახტანგ ბეჟაშვილი.

პასუხი

როგორც ღარიბ მოწაფეთ, თუ თქვენ ნამდვილად გაქვთ სასწავლებლიდან სათანადო მოწმობა, **თითოეულ კვად. არშინზე გადაიხდით ერთ კაპეიკს.**

კითხვა

ვცხოვრობ ანტონოვის ქუჩაზე (მე 9 უბანი). მიკავია ოთახი სივრცით 30 კვად. არშინი. ოთახი არის ბნელი, რომელშიაც დღე და ღამე მინთია ლამპა. ოთახი მეტად ნესტიანია. სახლის პატრონის შიშით ეზოშიც ვერ გამოვდივართ, გვლანძღავს მდგმურებს. ვინც დააშინა, სამსამი მანეთი გადაახდევინა. მე კი ვაძლევ 50 კაპეიკს. სახლის პატრონი ამაზე არ მთანხმდება. მე ვარ მუშა, რკ. გზის კავშირის წევრი, ვმსახურობ სადგურ ნავთლუღში; ჯამაგირი მაქვს **30 მან. 2** კაპ.; ჩემ კმაყოფაზე მყავს ოთხი სული.

გთხოვთ მაცნობოთ, თუ რამდენი უნდა გადამხდეს თვიურად ბინის ქირად.

მუშა **ალექსანდრე** შალაგანიანი.

პასუხი

ბინის ქირად თვიურად იხდით სამ აბაზს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

კომკავშირის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ დღეს, 15 აპრილს, საღამოს 4 საათზე, რაიკომის შენობაში შესდგება უჯრედის მდივნების, აგიტპროპების და ინსტრუქტორების თათბირი.

დასწრება ყველასათვის სავალდებულოა დაუგვიანებლად.

ოთხშაბათს, 15 აპრილს, საღამოს 5 საათზე, სანიტარული განათლების განყოფილების ბინაზე (ჩერქეზიშვილის ქუჩა № 108) მოწვეულია ყველა საშეფო კომისიების თათბირი ლენინის რაიონის კომუჯრედების მდივნების თანდასწრებით.

თათბირზე ირჩევა მეტად მნიშვნელოვანი საკითხები, რისთვისაც სავალდებულოა ყველას დასწრება.

დღეს, 15 აპრილს, საღამოს სრულ 6 საათზე, ქალაქის აღმასკომში შესდგება ქალაქის რაიონის რაიონული სადელეგატო კრება უჯრედთა მდივნებთან ერთად. დღის წესრიგი: 1) რაიკომის ცნობა, 2) ანკეტების გარჩევა.

სავალდებულოა ყველა დელეგატების და უჯრედებიდან გამოწვეულ ამხანაგების დასწრება.

ცენტრალურ პარტიულ კლუბში, დღეს, 15 აპრილს, შესდგება პროლეტკულტის საღამო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის თბილისის კომიტეტი იტყობინება, რომ დღეს, 15 აპრილს, დღის 1 საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება საქართველოს ახალგაზრდობის ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიის სხდომა.

საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრები აუცილებლად უნდა გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

ყველა ამხანაგებს, რომელთაც განცხადებები აქვთ შეტანილი თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგიაში, წინადადება ეძლევათ გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში 15 აპრილს, დღის 2 საათზე.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ამხ. ოსიპ გაზარიანს და კლემენტი კოდუას 3 დღის ვადაში გამოცხადდენ ამხ. კარულთან.

განცხადებები

პარტიის ისტორიული ჟურნალი „რევოლიუციის მატიანე“-ს

1 (11) №-რი გამოვიდა და იყიდება

შინაარსი

1. **ფ. მახარაძე**—თბილისის ორგანიზაციის 30 წლ. არსებობა.
2. **ს. თალაკვაძე**—საქართველოს კომპარტიის ისტორიისათვის.

მასალები და დოკუმენტები

1. ნაროდნიკების არალეგალური მუშაობა საქართველოში.
2. თბილისის სასულიერო სემინარია 1886 და 1893 წლებში.
3. ჟანდარმერიის თვალყური ომის დროს.

1905 წელი ჩვენში

1. გურიის, სამეგრელოს და იმერეთის მცხოვრებთ (გენ. მალამას მოწოდება).
2. თბ. კომიტ. ფურცელი, გამოცემული საყოველთაო გაფიცვის დროს.
3. 17 ოქტომბრის მანიფესტამდე (ქუთ. გუბერნატ. სტაროსელსკის ცირკულიარი, გენ. შირიკინის მოხსენებები).
4. 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ (ქუთაისის ჟანდარმთა სამმართველოს მოხსენება).
5. რუს. სოც. დემ. მუშ. პარტ. გორის ორგანიზაციის საქმე (საბრალდებლო ოქმი და სხვ.).
6. ჟანდარმერიის ერთი მოხსენებათაგანი.
6. **დათიკო ნასარიძე**—როგორ ეწყობოდა გენ. შირიკინის მკვლელობა 1905 წლის ივლისში.

საქართველოს კომპარტიის თბ. ორგ. 30 წლ. არსებობისათვის

1. იუბილეს გადახდის შესახებ.
2. **რაჟდენ კალაძე**—როგორ დავიწყე მუშაობა.
3. **ს. თალაკვაძე**—ამხ. რაჟდენ კალაძის მოგონების გამო

ბოლშევიკური ორგანიზაციები წარსულში

მოგონებანი ილ. ვარდინის (მგელაძე), პ. საბაშვილის, გერმანე ნაფეტვარიძის, ი. ქარსელაძის.

მოგონებანი

1. **კ. ცინცაძე**—ჩემი მოგონებანი.
2. **სერაპიონ ლომიძე**—ქუთაისის ორგანიზაციის მუშაობა.
3. **დ. ი. შერმანი**—ამხ. კამო.
4. **ს. ლომთათიძე**—მოგონებანი ძველ რევოლიუც. მუშაკებზე.

ავტობიოგრაფია

1. **მიხა ბოდრიშვილი**—ჩემი თავგადასავალი.
2. **ივ. ბუჩაშვილი**—ავტობიოგრაფია.

რევოლიუციის მსხვერპლი

1. ავთანდილ ერანის ძე მამალაძე.
2. ფილიმონ ელიშულის ძე გოგოლაძე
3. მიხაკო ბერძენიშვილი.
4. ილია ცინცაძე.
5. თეოფილე გიორგის ძე თედორაძე.
6. ბენია ბერიძე.
7. პართენ ბებურის ძე მამალაძე.
8. ტარასი მინდაძე.

პარტიული არქივი

1. ბოლშევიკების მუშაობა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს.
2. მუშა ვანო ჯიჯილავა—მოწოდება მუშის.

ჩვენი პროლეტარულ რევოლიუციის 20 წლის თავი

1. მ. მატროვსკის წერილი და ანკეტის პროექტი 1905 წ. რევოლიუციისათვის.

---

1. რ. ს. ხ. რ. კ. პარტისტთა წარმომადგენლების მე-III-ე თათბირი.

1905 წლის 9 იანვარი

1. რ. ს. დ. მ. პ. პეტერბურგის კომიტეტის ფურცლები.
2. მუშათა პეტიცია მეფისადმი.
3. **ზაალი მიქელაძე**—9 იანვარი პეტერბურგში. (პირადი მოგონება).
4. **ფ. ელიავა**—მოგონებიდან (1905 წ. იანვარი).

ტრიბუნა.

წერილები რედაქციის მიმართ.

სურათები: იოსებ ბლილიაშვილი, რაჟდენ კალაძე, მ. ჩოჯრიშვილი, ი. ვარდინი, პ. საბაშვილი, ივანე ბუჩაშვილი, ავთანდილ მამალაძე, ფილიმონ გოგოლაძე, მიხაკო ბერძენიშვილი, ილია ცინცაძე, თეოფილე თედორაძე, ბენია ბერიძე.

ჟურნალი ღირს 1 მან. და 30 შაური. ნომ. 1119. 5—1

ალექსანდრე, მარიამ, ელენე და ნინო პავლიაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 12 აპრილს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა

დავით სვიმონის ძე პავლიაშვილი

დაკრძალვა მოხდება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე ოთხშაბათს, 15 აპრილს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე—გამოსვენება მიცვალებულის ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინ.) № 15. 2-2

ელენე სიმონის ასული და მაკარი მიხეილის ძე რუსიშვილნი პატარა მარიკათი აუწყებენ დაუვიწყარ ძმის, ცოლის ძმის და ბიძის

დავით სიმონის ძის პავლიაშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სასაფლაოზე ოთხშაბათს, 15 აპრილს, ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. გამოსვენება მიცვალებულის ლადო დუმბაძის ქ. (ყოფილი ველიამინოვის) № 15 956 1—1

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს თაოსნობით

მალე გაიმართება

დიდი ლიტერატურული გასამართლება

მიხ. ჯავახიშვილის რომანის

„ჯაყოს ხიზნები“-ს გმირების

თეიმურაზ ხევისთავი, მარგო, ჯაყო

საბრალმდებლო სკამზე

დრო, ადგილი, შემადგენლობა და გასამართლების წესი ცალკე გამოცხადდება. ნ. 1123 3—1

ა. | კ. ფინსახკომის რწმუნებულის საქართველოში

სამმართველო ამით აცხადებს,

რომ მოწმობა, მიცემული ა | წ. 17 მარტის თარიღით № 7643, ანგარიშვალდებულ წარმოებიდან სახელმწიფო გადასახადების იძულებით გადახდევინებისათვის დანიშნულ თანამშრომელ მიხეილ ივლიანეს ძე ჩხიკვიშვილის სახელზე დაიკარგა ა | წ. 10 აპრილს და ამიტომ გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს.

1118 1—1

თბილისის საბაჟო

აცხადებს, რომ 23 აპრილს, დილის 10 საათზე საბაჟოს ეზოში გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

სხვადასხვა საკონტრაბანდო საქონლის გასაყიდათ: ტყავის, საგალანტერიო ნივთების, ქსოვილების, პუდრის, კოსმეტიურ ნივთ. და სხ. გასასყიდათ. 2—2 ნ. № 1099.

სახელმწიფო ოპერა დღეს, 15 აპრილს

მირრა ვოლის

და იტალიური ტენორის

ემილიო ვაგის

მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ოპერა 4 მოქ. მუს. პუჩინის.

ბოჰემა

მონაწილეობენ: **მირრა ვოლი**, მახოვეცკაია, **ვაგი**, ალექსაშინი, მინაძე, ისეცკი, დემიანენკო, ქურხული და იგონინი.

დირიჟორი ს. სტოლერმანი.

ნ. № 1120 1—1

ქალაქის 1-ლი საავადმყოფოს ადმინისტრაცია

ამით აცხადებს, რომ ამ საავადმყოფოს სამეანო-გინეკოლოგიურ განყოფილებაში ამა აპრილის 15-დან დროებით შეწყვეტილ იქნება ავადმყოფების და მშობიარეთა მიღება განყოფილების შენობის შეკეთების გამო. 894 3—3

პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს განყოფილება

სთხოვს საზოგადოების წევრებს დააჩქარონ მათი ხელახალი რეგისტრაციისათვის საჭირო ანკეტების წარმოდგენა ავტობიოგრაფიებთან და ფოტოგრაფიულ სურათებთან ერთად. ხელახალი რეგისტრაციის უკანასკნელი ვადა არის დანიშნული ა | წ. 15 მაისი. ამ ვადამდე ვინც არ გატარდება რეგისტრაციაში, ჩაითვლება მექანიკურად გამორიცხულად და შემდეგ მათი მიღება მოხდება საერთო წესების მიხედვით. 954 1—1

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის

პოლიტიკურ ეკონომიის დაწყებითი კურსი

ფასი 1 მ. 50 კ.

დაკვეთა და ცალობით შეძენა მხოლოდ **გაზ. „კომუნისტი“-ს**

მთავარ კანტორაში

(რუსთაველის პროსპექტი № 24 მე-2 სართული).

678 0—1. **გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.**

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე ის ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ-მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

9205 25—23

საქართველოს ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი

ბალანსი

აქტივი 1925 წლის 1-ლ აპრილისათვის. **პასივი**

აქტივი

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1 კასა და სახელდახელო ანგარიშები	739.738—01
2 ფასიანი ქაღალდები, უცხოეთის ვალიუტა, საქონელი საკუთარი	203.071—88
3 სათამასუქო ოპერაციები	350.744—10
4 სესხები საქონლის დაგირავებით	467,351—04
5 მოკლევადიანი სესხები	909.165—90
6 გრძელვადიანი სესხები	752.189—48
7 კორესპონდენტები	33.357—40
8 კომიტენტები საკომისიო ოპერაციებით	789—09
9 სხვადასხვა პირნი და დაწესებულებანი	110.771—58
10 ანგარიში განყოფილებებთან	884.589—70
11 ქონება	7.725—76
12 მიმდინარე ხარჯები	70,805—93
13 პროცენტები გადახდილი და დარიცხული, კომისიაგადახდილი	53.579—79
14 პროტესტ-ქმნილი თამასუქები	15.895——
15 ვადაგადაცილებული სესხები	18.166—74
16 საეჭვო ვალები	7.579—12
17 სხვადასხვა აქტივები	380.070—68
ბალანსი	**5.005.591—20**

პასივი

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1 კაპიტალი	1.465.734—85
2 სპეციალური თანხები განსაკუთრებული დანიშნულებ.	225.679—48
3 სახელდახელო ანგარიშები	499.180—12
4 სესხები: ა) ა | კ. სას.-სამ. ბანკში.	1.242.510——
5 განაღდებული თამასუქები: ა) ა | კ. სას.-სამ. ბანკში	80.000——
6 სპეციალ სახელდახ. ანგ. უზრუნველყ. თამასუქებით: ა) ა | კ. სას.-სამ. ბანკში	131.000——
7 კლიენტები საქონლის ოპერაციებით	30.744—32
8 კომიტენტები საკომისიო ოპერაციებით	2.602—50
9 სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	109.879—52
10 ანგარიში გამგეობასთან	889.432—11
11 პროცენტები, კომისია და სხვა შემოსავალი მიღებული	110.193—93
12 ანგარიში მოგებისა და ზარალისა	6.506—17
13 სხვადასხვა პასივები	212.128—20
ბალანსი	**5.005.591—20**

ნ. 1122 1—1

ს. ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა
ი. მენაბდე
კ. კაკაბაძე

მთავარი ბუღალტერი **ტოგონიძე.**

ექიმი

ნ. ა. ჭანდიერი

შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი. იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—7 საათამდე.

სომხის ბაზარი № 3.

№ 202.

25—19

ა. მ. მქინარაშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი; ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პროს. № 18

შესავალი კრუზენშტეინის ქუჩიდან.

25—2

ექიმი

გ. გ. მეგრაბიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გასული ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალიარიისა. **ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი, ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.**

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

2746. 25—8

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—3

ექიმი

ა. ს. ფონ-ირტელი

(მიხეილის პროსპექტი, 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ზო-მონდი).

გარდა საექიმო, სიფილისის და ქმირურგიულ ავადმყოფობათ (სისივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—4

ექიმი

ი. დ. თოფურიძე

ქუჩა კალინინის (ყოფილი ნიკოლოზის) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

25—9

ექიმი

დ. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.

მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.

ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე.

ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

482 25—2.

ექიმი

მ. ა. ლუკოვეცკი

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე; ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.

25—19

ექიმი ვ. ნ. ჩუპრინინი

საბჭოთა ქ. № 87 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)

შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, ვენაში შეშხაპუნება.

მიღება დილით 10—11 საათ.

25—14 საღამოს—5—6 საათ.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიანი თუხარელისა

კბილის და ღძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინსკის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ)

25—11

დავკარგე პირადობის მოწმობა და ინვალიდობის მოწმობა, მოქ. სარქის გალუსტის ძე სრაპიონის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 955

დავკარგე პირადობის მოწმობა № 365 და აღრიცხვის ბარათი, მოცემული რაჭის მაზრაში დომენტი ჭელიძეს სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 953

დავკარგე მედსანშრომის კავშირის წიგნაკი № 1316 და დაზღვევის წიგნაკი № 4313, კოლა ქენქაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 952

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი მოცემული თბილისის 1-ლი სამხედრო მაგიდიდან ბიძინა ილიას ძე ჯაშის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 949

დავკარგე მეტრიკა № 1909, ელენე გიგიმურელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 951

დავკარგე სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის მოწმობა, მოცემული თბილისის სამხკომისარიატიდან და პირადობის მოწმობა მიხეილ მიხეილის ძე გრიშაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 948

„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სოლ. წულუკიძის ქ. № 4